# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 მარტი 2005 №59 (2382) ფასი 50 თეთრი




## ჟორდანიას ბერძნებამდე დინამო გაუხსენეს

ფედერაციის პრეზიდენტი პოლიციამ დაკითხა

2



## ტყებუჩავას ლეგიონი

ახალგაზრდული ნაკრების სრული შემადგენლობა ჯერაც უცნობია

2



## კაცებად დაბადებული ქალების ამბავი

ფრთხილად, დოპინგია!

14

# ძველი და ახალი ბერძნები

## ოტო რეჰაგელმა სია ჩამოწერა



9 დღეც და საქართველოს პირველად მოუწევს მოქმედი ევროტრიუმფატორის წინააღმდეგ თამაში. საბერძნეთის ნაკრებმა უნიათოდ დაწყებულ შესარჩევ ციკლს მიჯრით ორი მოგება მიაყოლა და რა გასაკვირია, რომ თბილისშიც სამ ქულაზე ილესავს კბილებს. ელინთა გერმანელმა დამრიგებელმა ოტო რეჰაგელმა ერთი კვირის წინ 14 ლეგიონერის სია ჩამოწერა, გუშინ კი სათბილისო 22-კაციანი სრული შემადგენლობაც დაასახელა. „მეფე ოტოს“ კრებულს, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლია, ყველა ჩაუქი ბერძენი 24 მარტს საქართველოს ესტუმრება.

იხილეთ მეორე გვერდი

# არანაირი განთესვა

## დიდი დაწყვილების დღე

UEFA CHAMPIONS LEAGUE



დღეს, თბილისის დროით ორ საათზე, შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის წილისყრა ერთდროულად შედგება. ერთი ქვეყნის გუნდების არანაირი განთესვა — შეიძლება „ჩელსი“ „ლივერპულს“ შეხვდეს, ან „მილანი“ — „ინტერს“.

# ჟორდანიას ბერძნებამდე დინამო გაუხსენეს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გუშინ ფინანსურ პოლიციაში იყო. რა საკითხთან დაკავშირებით, ზუსტად არ ვიცით, თუმც, როგორც ამბობენ, მერაბ ჟორდანიას თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობისას არსებული დარღვევები გაუხსენეს და მილიონ ასი ათას ლარზე და ფინანსურ ამინისტიაზე ესაუბრნენ.

ფინანსურმა პოლიციამ ჟორდანიას ფეხბურთის ფედერაციაში გუშინწინ მიაკითხა, მაგრამ პრეზიდენტი ადგილზე არ დახვდა. პოლიციელებმა უწყება დატოვეს და ჟორდანიაც მათ დათქმულ დროს ეახლა.



როგორ განვითარდება მოვლენები, მომავალი გვიჩვენებს, თუმც, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებს უახლოეს ორ კვირაში ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის, ეგებ სჯობდა, ამ საქმის გარჩევისგან პოლიციას ახლა თავი შეეკავებინა.

**ქობა ინასარიძე**

# ფულის თვლას ქულის თვლა სჯობს

## ჩოლარია თურქებს სექტორს უმზადებს



**საქართველო — საბერძნეთის** 26 მარტის შესარჩევი მატჩის ბილეთების გაყიდვა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში ხვალიდან დაიწყება.

მოგეხსენებათ, 10 ლარი უკვე გაიაფებული ფასია. ამ ბილეთების სანაცვლოდ ფედერაცია 20-30 ლარს ითხოვდა, თუმც საქმეში თბილისის მერია და ქალაქის სპორტის სამსახური ჩაერია და სხვადასხვა საორგანიზაციო ხარჯების დაფარვის პირობით ფედერაციამ ბილეთებს ფასი დააკლო.

გუშინ კი ფედერაციის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ ის თანხა დააკონკრეტა, რომელიც მერიიდან ფედერაციის ანგარიშზე დღეს უნდა დაჯდეს — 60 ათასი ლარი. ფედერაცია, თავის მხრივ, ამ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარვე გადარიცხავს და გამოდის, რომ მერია ფედერაციას გადასახადების გადახდაში დაეხმარა.

— ფეხბურთის ფედერაციას მთავრობასთან და სახელმწიფო უწყებებთან არანაირი პრობლემა არ აქვს, ყველაფერი წესრიგშია — გვითხრა გუშინ ვალერი ჩოლარიამ — საბერძნეთთან მატჩის წინა ხარჯთაღრიცხვა კი, რომელიც ორიოდ დღის წინ მოგაწოდეთ, ათასჯერ გადამოწმებულია, ნაღდია და გაკონტროლებას არ საჭიროებს. თეთრებზე ლაპარაკს ახლა ქულებზე და გოლებზე ლაპარაკი სჯობს, წინ უმნიშვნელოვანესი მატჩებია. ქალაქის მერმა განაცხადა, ჩვენ ფედერაციას დავეხმარებით და თან გავაკონტროლებთ, ამ ფულს რაში დახარჯავენო. აგერ ბატონო, ჩვენი წერილი ფინანსთა სამინისტროს, როცა მერია ფულს გადმოგვირიცხავს, ის თანხა, სრულად, ქვეყნის ბიუჯეტში გადაირიცხება. მოკლედ, დახმარებისთვის მერიას ჩვენგან მადლობა, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ ამ თანხის გაკონტროლებისთვის დროს ნუ დახარჯავენ.

გუშინვე, ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენმდივანი საქართველოში თურქეთის საელჩოს სტუმრობდნენ. მასპინძელი ელჩის მოადგილე იყო და სასაუბრო, რა თქმა უნდა, 30 მარტის საქართველო — თურქეთის მატჩი. მეტწილად კი საელჩოში უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. როგორც ჩოლარიამ გვითხრა, ფედერაცია თურქი ქომაგებისთვის „მიხეილ მესხის" ერთი სექტორის, ანუ 700 ბილეთს 27 მარტამდე არ გაყიდის და სტუმრების მოთხოვნას დაელოდება. თურქები მატჩზე დასწრებას თუ არ ისურვებენ, 27 მარტის შემდეგ ბილეთები ჩვეულებრივ გაიყიდება. ისე კი, ფედერაციას თურქებისგან დაახლოებით 300 ბილეთის შეკვეთა უკვე მიღებული აქვს.

**ქობა ინასარიძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

# ჩვენი მეტოქე

*მეკარეები:* ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (პორტსმუთი, ინგლისი);

*მცველები:* ტრაიანოს დელასი (რომა, იტალია), მიხალის კაპსისი (ბორდო, საფრანგეთი), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), ლუკაშ ვინტრა (პანათინაიკოსი), პანაიოტის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), იურკას სეიტარიდისი (პორტუ, პორტუგალია), სოტირის კირიაკოსი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია);

*ნახევარმცველები:* კოსტას კაცურანისი (აეკ), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), თეოდოროს ზაგორაკისი (ბოლონია, იტალია), პანტელის კაფესი (ოლიმპიაკოსი), ვასილის ლაკისი (კრისტალ პალასი, ინგლისი), სტელიოს იანკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია);

*თავდამსხმელები:* ანგელოს ხარისტეასი (აიაქსი, ჰოლანდია), ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), დიმიტრის პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი), იოანის ამანატიდისი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ფანის გეკასი (პანათინაიკოსი).

# რეჰაგელს 20 ძველი და 2 ახალი მოჰყავს

**ჩვენ** მეტოქეს ორი დებიუტანტიც ეყოლება და ორივე „პანათინაიკოსიდან": ჩეხური წარმოშობის 23 წლის მცველი ლუკაშ ვინტრა, რომელმაც ამასწინათ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ესპანურ „სევილიასთან" 1:0 მოგებულ მატჩში გაიტანა გოლი; 24 წლის ფანის გეკასი კი საბერძნეთის ჩემპიონატის მიმდინარე სეზონში 10 გოლის გამტანი და საუკეთესო ბომბარდირია.

ვინტრას და გეკასს ბერძენთა ტრავმირებულების — სტელიოს ვენეტიდისისა და გეორგიოს გეორგიადისის ნაცვლად უხმეს ნაკრებში. აქვე ვთქვათ, რომ „პანათინაიკოსიდან" ყველაზე ბევრი — 5 ფეხბურთელი მოხვდა რეჰაგელის გუნდში.

ელინელთა შემადგენლობაში კი ყველაზე ასაკოვანნი არიან 34-34 წლისანი, კაპიტანი თეოდოროს ზაგორაკისი და მეკარე ანტონის ნიკოპოლიდისი.

საბერძნეთის ნაკრები 22 მარტს ათენში შეიკრიბება, თბილისში კი 24-ში ჩამოვა. ქართველების შემდეგ ევროპის ჩემპიონები 30 მარტს, პირეოსში ალბანელებს უმასპინძლებენ.

**ილია ნანოგაშვილი**

# ტყებუჩავას ლეგიონი

**საბერძნეთთან** და თურქებთან თავისი წილი ბრძოლა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებსაც გადახდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ახალგაზრდულ ნაკრებს შეკრება 21 მარტს დაეწყება საქართველოს ნაკრების ბაზაზე, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის გვერდით მდებარეობს.



ჩვენი ოცდაერთწლამდელები ბერძენ და თურქ თანატოლებს 25 და 29 მარტს უმასპინძლებენ, ორივე მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და 16 საათზე დაიწყება.

ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ ჯერ მხოლოდ ამ მატჩებზე გამოძახებული ლეგიონერების სია გვამცნო, სრული შემადგენლობა კი 20 მარტს გახდება ცნობილი.

ლეგიონერთა ბერძნულ-თურქული სია ასეთია: *გიორგი ციმაკურიძე (სტალი, უკრაინა), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), მამუკა ლომიძე (ჩკალოვეცი, რუსეთი), დავით ჭილაძე (სუდუვა, ლიტვა), გოჩა ხოჯავა (ანართოსისი, კვიპროსი), გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, მათე ღვინიანიძე (ორივე ლოკომოტივი, რუსეთი), სანდრო გურული (ლიონი, საფრანგეთი), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი).*

**დავით თავართქილაძე**

## უეფას თასი

### მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

*ცსკა* (რუსეთი) 2:0 პარტიზანი (სერბეთი) (1:1)

ოსერი (საფრანგეთი) 0:0 ლილი (საფრანგეთი) (1:0)

*პარმა* (იტალია) 1:0 სევილია (ესპანეთი) (0:0)

*სპორტინგი* (პორტუგალია) 1:0 მიდლსბრო (ინგლისი) (3:2)*

სარაგოსა (ესპანეთი) 2:2 *აუსტრია* (ავსტრია) (1:1)

## იტალია

სერია B

გადადებული მატჩები

ალბინოლეფე 2:2 ტრევიზო

ვერონა 0:0 ტრიესტინა

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

სამპდორია 3:2 *კალიარი* (0:2)

## ჰოლანდია

I დივიზიონი. გადადებული მატჩი

გრონინგენი 0:1 პსვ ეინდჰოვენი

## საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

კალამარია 1:1 *არისი* (0:0)

## როიალ ლიგა 2005

### მეორე ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

A ჯგუფი

მალმიო (შვედეთი) 1:0 კოპენჰაგენი (დანია)

B ჯგუფი

ბრანი (ნორვეგია) 2:2 ვოლერენგა (ნორვეგია)

# გაიოზ ჯეჯელავა



გარდაიცვალა გაიოზ ჯეჯელავა. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გმირი.

სწორედ ამ ზამთარს შეუსრულდა 90 წელი. ის იყო უკანასკნელი ცოცხალი წარმომადგენელი ომამდელი და ომის შემდგომი ლეგენდარული თბილისის „დინამოსი".

ვირტუოზი გარემარბი, ფეხბურთის ნამდვილი მაესტრო, უპოპულარულესი ფიგურა იყო სტალინისდროინდელ საბჭოთა სტადიონებზე.

გაიოზ ჯეჯელავამ დიდხანს იცოცხლა და თავისი სიცოცხლით თითქოსდა განასახიერებდა ქართული ფეხბურთის მარადიულობას. ის ნამდვილი ვარსკვლავი გახლდათ, ოღონდაც ძველი ვარსკვლავი, რაც იმას გულისხმობს, რომ ის მინდორზე ჯადოქარი იყო.

სწორედ ჯეჯელავას თაობამ შეაყვარა საქართველოს ფეხბურთი. ეგებ ამაზე არ ფიქრდებიან, მაგრამ ასე კი იყო.

თავად ჯეჯელავა კი ისეთი მოთამაშე იყო, ფეხბურთს რომ ქმნიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის
გაიოზ ჯეჯელავას
გარდაცვალების გამო

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

## 24 ტური მიმოხილვა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

*ხვიჩა ქასრაშვილის დებიუტი წარმატებული კი გამოდგა, მაგრამ მისმა დამოძღვრილმა „დინამომ“ ლიდერობის დაბრუნება მაინც ვერ მოახერხა, ცხრილის კენწერო ისევ „თბილისისაა“.*

*ქუთაისში მშვიდობიანად ჩამთავრდა საათნახევრით გვიან დაწყებული თამაში. ბათუმელთა დამრიგებელმა პრესკონფერენციაზე მუქარა ახსენა, მაგრამ კონტრეტული ვერაფერი თქვა. „ტორპედომ“ კი ერთხელაც დაგვანახა, რომ ამ დროისთვის ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი არ არის, იგივე ითქმის „ვიტ ჯორჯია ზეც“.*

*კვლავ გაიხარეს ზესტაფონში და ისიამოვნეს ზაზა ზირაქიშვილის თამაშით. „ზესტაფონის“ მეტოქე ბეჩავი „დილა“ კი იყო, მაგრამ ამით ზესტაფონურ ზეიმს ხიბლი არ მოჰკლებია...*

ზესტაფონი 3:0 დილა
ლოკომოტივი 1:0 ვიტ ჯორჯია
თბილისი 1:0 სიონი
კოლხეთი 0:2 დინამო
ტორპედო 1:1 ბათუმი



ბაჩო კილილაშვილის ფოტო

# გვეშველა!

## ლოკომოტივი ჩემპიონი არ არის

**„ლოკომოტივის“** სტადიონს ოფიციალურად ეწოდა მიხეილ მესხის სახელი და ეს ამბავი სტადიონს ვიზუალურად უკვე დაეტყო: აქამდე ყველასათვის გაუგებარი წარწერა — CHAMPION LOCOMOTIVE — მთავარ ფასადს ჩამოაშორეს.

ცნობისათვის, „ლოკომოტივი“ დღემდე არასოდეს გამხდარა საქართველოს ჩემპიონი, თუმც ზემოთ ნახსენები წარწერა სტადიონს აშენების დღიდან „ამშვენებდა.“




ბაჩო კილილაშვილის ფოტო

# ეზოა თუ უმაღლესი ლიგა?

## მაინც დინამო, მაინც ბორჯომი

**მეკარე** ირაკლი თოთლაძე „ბათუმმა“ თბილისის „დინამოსგან“ ინათხოვრა მეორე ეტაპისთვის. თოთლაძეც ამ ტურში, ქუთაისში იდგა „ბათუმის“ კარში, თუმც ბათუმური სამოსი როდი ეცვა.

თოთლაძეს მაისურას „დინამოს“ ლოგო ჰქონდა და „დინამოს“ სპონსორის სარეკლამო წარწერაც არ წაშლოდა — BORJOMI.

მოკლედ, „ბათუმმა“ დინამოელი მეკარე „დინამოს“ მაისურითვე ინათხოვრა და ასე ჩააყენა კარში. ასეთი რა გაუჭირდა „ბათუმს“, რომ თავის მეკარეს ფორმა ვერ ჩააცვა? ეს უმაღლესი ლიგაა თუ ეზოში ბურთის თამაში? ისიც საინტერესოა, რას იტყვის ამ ფაქტის შესახებ საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგა.




ბაჩო კილილაშვილის ფოტო

# ჭრიამული, ავტოგრაფი და ზე-სტა-ფო-ნი!

**რაიონებში** ხშირად წააწყდებით სცენას — ბავშვები და ასაკოვანი ხალხი დომინოს თუ კარტის თამაშით ფლანგავენ დროს და ასე გააქვთ დღეები.

და რა სჯობია, როცა ერთ პატარა ქალაქში საფეხბურთო ჭრიამულია, როცა დიდ-პატარიანად ყველა სტადიონზე მიიჩქარის საყვარელი გუნდის საქომაგოდ. ასეა ზესტაფონში: გუშინწინ გორის „დილასთან“ ნამატჩევს ბავშვები თავიანთ გმირებს შემოეხვევნენ და ხვევნა-კოცნით გააცილეს სახლში. ფეხბურთელებს ავტოგრაფების დარიგებისგან ხელიც კი დაეღალათ, განსაკუთრებით კი ორი გოლის გამტანი ზაზა ზირაქიშვილი „დაიჩაგრა“.

ერთი 12-13 წლის ფანის სიტყვებიც გეამებოდათ, მამამისთან ერთად ჩემპიონატის კალენდარს რომ ჩაკირკიტებდა და „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯიას“ ფრედ დასრულებას ნატრულობდა — თასს ხომ ავიღებთ და სამეულშიც უნდა შევიდეთო...

# მშრალი ბობო



მერაბ ფირცხალაიშვილის ფოტო

**თბილისის** „ლოკომოტივის“ თავდამსხმელ მიხეილ ბობოხიძეს მეორე ეტაპზე გოლი არ გაუტანია. ეს ამბავი იმითაა გასაკვირი, რომ პირველი ეტაპის შემდეგ „ბობო“ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო. ახლა კი რა გამოდის? უკვე ექვსი მატჩია, ბობოხიძე უგოლოდ თამაშობს.

„ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრაში ამ წერილის გმირი ბევრს კი ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არადა, ისეთ მომენტებში არ გაუმართლა, რომ ტრიბუნებზე ბევრს ათქმევინა — „ბობო“ დათარსულიაო.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 17-მეგრელაძე | *ტორპედო* |
| 16-მელქაძე | *დინამო* |
| 11-ოდიკაძე | *თბილისი/დინამო* |
| 10- ბობოხიძე | *ლოკომოტივი* |
| მარცვალაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 8-მერებაშვილი | *ვიტ ჯორჯია* |
| იაშვილი | *თბილისი* |
| დვალი | *დინამო* |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 24 | 15 | 4 | 5 | 46:26 | 49 |
| დინამო | 24 | 15 | 3 | 6 | 47:23 | 48 |
| ტორპედო | 24 | 12 | 8 | 4 | 38:20 | 44 |
| ლოკომოტივი | 24 | 10 | 10 | 4 | 32:19 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 10 | 7 | 7 | 37:28 | 37 |
| ზესტაფონი | 24 | 11 | 2 | 11 | 25:38 | 35 |
| ბათუმი | 24 | 6 | 9 | 9 | 26:22 | 27 |
| კოლხეთი | 24 | 6 | 5 | 13 | 23:33 | 23 |
| სიონი | 24 | 6 | 3 | 15 | 21:48 | 21 |
| დილა | 24 | 2 | 3 | 19 | 15:53 | 9 |

**მომდევნო ტური**

20 მარტი, კვირა

დილა – კოლხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
სიონი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – თბილისი
დინამო – ლოკომოტივი

**სიმბოლური ნაკრები**

გოგი ფიფია *თბილისი*
მიხეილ ბობოხიძე *ლოკომოტივი*
ზაზა ზირაქიშვილი *ზესტაფონი*
კახა ჩხეტიანი *ზესტაფონი*
დავით სვანიძე *სიონი*
გიორგი თურმანიძე *ზესტაფონი*
შოთა ჯიქია *თბილისი*
ნუკრი მანჩხავა *ლოკომოტივი*
მიხეილ მახვილაძე *ლოკომოტივი*
დავით გიგაური *ლოკომოტივი*
ირაკლი ზოიძე *დინამო*

გუნდი: თბილისი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

# ზესტაფონური სამაია
## ბურნაძეც ფეროელებში?

„ზესტაფონი" ალმართს მიიკვლევს და, ჩემპიონატში თუ თასზე, თამაშს თამაშზე იგებს. ფეროელთა შემადგენლობას ქართული საზომებით ვერ დაიწუნებს კაცი, თუმც თემურ მაზარაძეს გუნდის გაძლიერება სურს და დიდი შანსია, 31 მარტამდე (ამ დღეს იხურება სატრანსფერო ფანჯარა) სამი ფეხბურთელიც შეიმატოს.

გიორგი იმედაძე უკვე კარგა ხანია, „ზესტაფონში" ვარჯიშობს და როგორც კლუბის დირექტორმა დავით აბაშიძემ გვითხრა, მისი განაცხადში შეყვანა დღეების ამბავია. ამგვარად, იმედაძე კიდევ ერთი ექსქუთაისელი გახდება, რომელიც „ზესტაფონის" მაისურას მოირგებს.

შეგახსენებთ, გიორგი ბოლოს სიმფეროპოლის „ტავრიაში" თამაშობდა, თუმც ერთ დროს იოჰან ბოსკამპის ჯილა ფორვარდმა ყირიმში დიდხანს ვერ გაძლო.

ზესტაფონში არიან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე და პაატა ფეზუაშვილიც. ბურნაძე მოლდოვური „შერიფიდან" წამოვიდა.

ბურნაძის დარად, ფეზუაშვილმაც გორის „დილაში" დაიწყო კარიერა, თუმც ტრავმებმა დატანჯა და ბოლო დროს უქმად იყო...

ფეროელები ფეზუაშვილ-ბურნაძის ოფიციალურად გაზესტაფონელებას ჯერჯერობით არ ჩქარობენ.

**ილია ნანობაშვილი**

# ალანიაში თედეევს არ ახარებენ



ვლადიკავკაზის „ალანიამ" რუსეთის თასზე „ხიმკისთან" შინ 0:2 წაგებული თამაში ვერ მოატრიალა, 1:1 ითამაშა და თასს ხელი დაუქნია. ლადო ბურდული პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, ჯაბა კანკავამ და ვიტალი დარასელიამ კი ბოლო ხუთი წუთი ითამაშეს. თავის მხრივ, „ხიმკიში" 55-ე წუთზე გამოჩნდა მეკარე გიორგი ლომაია, თუმც მოსკოველებს მისი სამსახური იძულებით დასჭირდათ, რადგან ძირითადი გოლკიპერი როჟკოვი დაემტვრათ. გოგიტა გოგუას კი კვლავ არ უთამაშია.

„ალანიაში" ისევ გრძელდება სამწვრთნელო გაუგებრობა. „ხიმკისთან" მატჩისას განაცხადში მთავარ მწვრთნელად სტანისლავ ცხოვრებოვი ეწერა, ბახვა თედეევი კი მის თანაშემწედ წარადგინეს. გეცოდინებათ, ორიოდ კვირის წინ თედეევს პოსტის დატოვება ემუქრებოდა, თუმც მერე იგი ისევ დააბრუნეს, ახლა კი ისევ დაიწყო...

„ვერაფერი გაიგია. თითქოს „ალანიას" სამწვრთნელო შტაბს მე ვხელმძღვანელობ, მაგრამ ოფიციალურად თურმე ცხოვრებოვი ყოფილა ჩემ ადგილზე. ამ ამბავს ორ დღეში გავარკვევ" — ამბობს თედეევი, თუმც ისიცაა, რომ რუსულ პრემიერლიგაში მთავარ მწვრთნელს უმაღლესი სამწვრთნელო სკოლის დიპლომი ან ლიცენზია უნდა ჰქონდეს, ბახვას კი ეს არ ჰქონია...

**ილია ნანობაშვილი**

# დატოვებს გიგიაძე ტავრიას?

**სიმფეროპოლის** „ტავრიამ" ახალი კონტრაქტი შესთავაზა საქართველოს ნაკრების კანდიდატ ვასილ გიგიაძეს, ვისაც უკრაინელებთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლო უმთავრდება და შანსი აქვს, თავისუფალი აგენტი გახდეს.

სიმფეროპოლელებს კი ქართველი თავდამსხმელის დაკარგვა არ უნდათ და ახლახან ვასოსთან მოლაპარაკებაც დაიწყეს. „ტავრიას" პრესსამსახურის ცნობით, კლუბმა გიგიაძეს გაცილებით ხელსაყრელი პირობები შესთავაზა, ვიდრე აქამდე ჰქონდა.

გიგიაძეს სიმფეროპოლელებისთვის დასტური ჯერ არ უთქვამს. უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის თქმით, მას რამდენიმე კლუბის წინადადება მიუღია და შესაძლოა, „ტავრია" დატოვოს კიდეც, თუმც ეს ამბავი ჯერჯერობით ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

**ძაბა შალამბერიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

მეორე წრე

16 18 ტური

# აქეთური-იქეთური
## პენალტი უგოლოდ და გოლი პენალტით



თელაველთა კარში ერთადერთი გოლი პენალტით გაგიდა

**სოსო კოტორეიშვილი**

**პირველმა** საგარეო საგაზაფხულო სამმა ქულამ „ამერი" მეორე ადგილზე ატყორცნა. თელავის კოხტად გაწყობილ-მოვლილ სტადიონზე თბილისელებს გვარიანი ბრძოლა გადახდათ თავს. მატჩის გმირი, თამამად ვიტყვით, სტუმართა მეკარე რევაზ ნაჭყეპია იყო, რომელმაც მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტი მოიგერია და ისედაც მოგებაზე დაგეშილ თანაგუნდელებს გასამარჯვებლად იმედის ალევებული ნაპერწკალი კიდევ უფრო აუნთო.

ამერელებს სანერვიულოდ ვინძლო საქმე არც გაეხადათ, პირველ ტაიმში საგოლე მომენტები რომ გამოეყენებინათ. ჯერ იყო და, თბილისელთა კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს დაარტყა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა. მერე გიზო ჯელაძეს მიეცა შანსი მეტოქის საჯარიმოს ხაზიდან გაეხსნა ანგარიში, მაგრამ კვლავ „თელავის" გოლკიპერმა გამოიღო ხელი და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმის საწყისი ათწუთეული „თელავისა" იყო. კახელთა მიძალებას ამერელებმა გაჭირვებით გაუძლეს. ამ ათწუთეულში თელაველებს დაწინაურებაც შეეძლოთ. რეალური შანსი დავით ბურდულს მიეცა, რომელსაც თერთმეტრიანი დარტყმა „ამერის" მეკარე რევაზ ნაჭყეპიამ აუღო.

ამით გულმიცემულ თბილისელებს შესატევად უნდა გაეწიათ, მაგრამ მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, რომ სტუმრებს იერიშები არ გაამწვავებინეს. ასე თანაბარ თამაშში მიილია ათი წუთი, როცა მარჯვენა ფლანგზე თელაველებმა სულიკო დავითაშვილი წააქციეს. ამერელებმა საჯარიმოს შესრულებას გვარიანი დრო მოანდომეს — კახელთა გოლკიპერმა გიგა იაშვილმა ბუცების გამოცვლას იმდენი ხანი მოანდომა, ტრიბუნაზე შეკრებილ ქომაგებს გული გაუწვრილა, ამასობაში კი თბილისელთა საჯარიმოს პენალტი მოჰყვა: კარზე დამიზნებული ვახტანგ ხვადაგიანი მცველმა საჯარიმოში დასცა. წინა ტურში ორგოლგამტანმა გიორგი დეკანოსიძემ „ამერის" გამარჯვებისა შეაგდო — 0:1.

თელავს ნასტუმრევთ, უპირველესად „კახეთის" მოვლილი სტადიონი მოგვხვდა თვალს, არც ის გამოგვრჩენია, რომ სტუმარ-მასპინძელი ქართული კომპანიის, „საროს" შეკერილი ფორმებით ერკინებოდნენ ერთმანეთს.

თელავი. 17 მარტი. 14 საათი. მიმი ჩოხელი. 600 მაყურებელი

## კახეთი 0:1 ამერი

0:1 დეკანოსიძე (61)

ბურდულმა ვერ გაიტანა პენალტი (48, მეკარე)

**კახეთი:** იაშვილი, ტარუაშვილი, კობაიძე, ბედოიძე, კუპრაშვილი (იმერლიშვილი 63), კველიშვილი (ტიტიაშვილი 63), ნ. დავითაშვილი (ამირანიძე 77), ბურნაძე, ბურდული, ბელაშვილი, არუდაშვილი
**მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე

**ამერი:** ნაჭყეპია, ბერიანიძე, დავითნიძე, ზ. ჯელაძე, გ. ჩხეტიანი, ხვადაგიანი, კბილაშვილი, დეკანოსიძე, ს. დავითაშვილი, სევასტოპულო (მელავა 89), გ. ჯელაძე (სილაგავა 90)
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** ზ. ჯელაძე (48), კუპრაშვილი (60), ბედოიძე (82), ბურნაძე (84), გ. ჯელაძე (84)

**მსაჯები:** გ. ასკაროლი; ა. ნონიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი; გ. ელისაბედაშვილი

**ვიტ ჯორჯია 0:1 საგარეჯო**

**გურია 1:1 ჩიხურა**

**ოლიმპი 0:2 ლოკომოტივი 2**

**ბორჯომი 2:0 სპარტაკი**

**მერანი 2:1 დინამო 2**

**რუსთავი 4:0 მაღაროელი**

დღეს გაიმართება

**ცხინვალი — ივერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 18 | 15 | 1 | 2 | 49:20 | 46 |
| ამერი | 18 | 13 | 1 | 4 | 49:8 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 3 | 3 | 29:10 | 39 |
| სპარტაკი | 18 | 11 | 6 | 1 | 32:17 | 39 |
| კახეთი | 18 | 11 | 2 | 5 | 30:22 | 35 |
| დინამო 2 | 18 | 9 | 1 | 8 | 43:29 | 28 |
| ცხინვალი | 17 | 8 | 3 | 6 | 23:20 | 27 |
| ივერია | 17 | 6 | 5 | 6 | 16:20 | 23 |
| ლოკომოტივი 2 | 18 | 6 | 4 | 8 | 23:25 | 22 |
| ჩიხურა | 18 | 6 | 4 | 8 | 17:21 | 22 |
| გურია | 18 | 6 | 4 | 8 | 18:27 | 22 |
| რუსთავი | 18 | 5 | 2 | 11 | 22:32 | 17 |
| მერანი | 18 | 5 | 1 | 12 | 21:33 | 16 |
| ოლიმპი | 18 | 3 | 4 | 11 | 15:32 | 13 |
| საგარეჯო | 18 | 3 | 4 | 11 | 17:42 | 13 |
| მაღაროელი | 18 | 0 | 3 | 15 | 8:54 | 3 |

# თქვენი ინტერვიუ
# ზურაბ ხიზანიშვილთან
**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**



*რუბრიკის მესამე რესპონდენტი ლევან კობიაშვილისა და შოთა არველაძის შემდეგ ზურაბ ხიზანიშვილი გახლავთ, ეროვნული ნაკრების მესამე თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, ვისაც ალენ ჟირესმა 9 თებერვალს ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში კაპიტნის სამკლავურიც კი ანდო.*

*ახალგაზრდა უცოლო კაცის გლაზგოური ცხოვრების დეტალები შესაკითხად ალბათ იქით იქნება, ხოლო აქეთ უფრო ვინძლო საფეხბურთო კითხვები წამოვა.*

*მოკლედ, იაქტიურეთ და კითხვები 20 მარტამდე მოგვაწოდეთ, ხოლო „თქვენს ინტერვიუს" ხიზანიშვილთან არაუგვიანეს 23 მარტისა იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# არანაირი განთესვა
## სად კაპელო და სად ოლიმპიური დევიზი

*დღეს, თბილისის დროით ორ საათზე, შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის წილისყრა ერთდროულად შედგება. არანაირი განთესვა ერთი ქვეყნის გუნდებისა — შეიძლება „ჩელსი“ „ლივერპულს“ შეხვდეს, ან „მილანი“ — „ინტერს“.*

*ქვემოთ თითოეული მეოთხედფინალისტის ერთგვარ დახასიათებასაც ამად გთავაზობთ*

### იუვენტუსი

„მთავარი მოგებაა და არა მონაწილეობა — ამბობს ფაბიო კაპელო, რომელსაც 1994 წელს, „მილანის“ მწვრთნელობისას ჩემპიონთა თასი აუწევია — სიხარული მხოლოდ გამარჯვებას მოაქვს. ვინც სხვაგვარად მიუდგება საქმეს, ვერაფერს ვერ მიაღწევს. ჩემი გუნდის დაცვის ხაზი მარტო არასოდეს რჩება, რადგან ნახევარდაცვა ფილტრივით მუშაობს. ერთობა — აი, რა არის მთავარი. თან ჩვენ ბრწყინვალე მეკარე გვყავს“.

„იუვენტუსმა“ ჯანლუიჯი ბუფონის სანაცვლოდ „პარმას“ დიდძალი ფული გადაუხადა. მეკარის გარდა ფაბიო კანავარო და ლილიან ტურამიც შეიძინა, შარშან ზაფხულს კი „რომადან“ „იუვენტუსში“ გადასულ კაპელოს ბრაზილიელი ემერსონიც გაჰყვა, რომელმაც ტრავმირებული ნედვედის ტვირთიც ზიდა.

ალესანდრო დელ პიეროს გული უგრძნობს, რომ „ბებერ ქალბატონს“ წილისყრა პრემიერლიგის გუნდს არგუნებს. „დღეს გავიგებთ, მართალი ვარ თუ არა“ — თქვა დელ პიერომ.

### ლივერპული

შარშან „ვალენსიასთან“ ერთად უეფას თასის მომგები რაფაელ ბენიტესი წლეულს ჩემპიონთა თასისკენ „ლივერპულს“ მიუძღვება. „ლივერპული“ პრიმერადივიზიონში ვერ ბრწყინავს და ოთხეულს გვარიანად ჩამორჩება. ინგლისის ლიგის თასის ფინალში „ჩელსისთან“ კი დამარცხდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც „ლივერპულია“ სტივენ ჯერარდით და ახალწამოჩიტებული ნილ მელორით.

ბენიტესის პრობლემა შეტევაა, რადგან მაიკლ ოუენი მადრიდის „რეალში“ გაუშვეს, ხოლო ჯიბრილ სისემ აგვისტოში ფეხი მოიტეხა და გუნდს ძალიან დააკლდა. ზამთარში ფერნანდო მორიენტესი შეიძინეს, თუმც ესპანელს ევროთასებზე თამაშის უფლება არა აქვს.

### ინტერი

ყველაზე ფრიანი იტალიური გუნდის დამარცხება ძალიან ძნელია, მაგრამ თამაშის მოგება თავადაც უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ შუახაზში და თავდასხმაში მეტად შთამბეჭდავი გვარ-სახელები თამაშობენ.

ბრაზილიელმა ადრიანომ, რომელიც გასულ შემოდგომაზე ბრწყინავდა, 4 დეკემბერს „მესინასთან“ გატანილი სამი გოლის შემდეგ დაამუხრუჭა და მხოლოდ ორი პენალტი მიითვალა. ბრაზილიელი ფორვარდი „პორტუსთან“ მატჩში კვლავ გაცოცხლდა და ჰეთ თრიქი შეასრულა. „ინტერის“ საპატიო პრეზიდენტ მასიმო მორატის მეტოქედ „მილანი“ სურს, რადგან თანაქალაქელებთან ორი წლის წინანდელი ანგარიში აქვს გასასწორებელი.

### პსვ ეინდჰოვენი

ერთი შეხედვით, მეოთხედფინალში მოულოდნელად გასული ეს ჰოლანდიური კლუბი გუს ჰიდინკის ხელში განსწავლულ გუნდად იქცა და ორივე ფრონტზე (ჰოლანდიის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა) კარგად გამოიყურება. პსვ-მ ჩემპიონთა თასის შარშანდელი ფინალისტი „მონაკო“ ორი მატჩის ჯამში ისე დაამარცხა, რომ მეტოქისგან გოლი არ გაუშვია. ბრაზილიელები — მეკარე გომესი და ცენტრალური მცველი ალექსი, სამხრეთკორეელები — ლი და პარკი, პერუელი ფარფანი და ამერიკელი ბესლი. აი, „პსვ ეინდჰოვენის“ უმთავრესი ძალა, რომელიც ჰიდინკმა სასურველ კალაპოტში მოაქცია.

### ბაიერნი

ამჟამინდელი მიუნხენის „ბაიერნი“ როი მაკაის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. ჰოლანდიელი ფორვარდი კარგად ჩაეწერა გუნდში, იგი მეგოლეცაა და პასების ოსტატიც. მაკაი „ვერდერთან“ მოგებულ მატჩში დაშავდა, მაგრამ მეოთხედფინალის პირველი შეხვედრისთვის მზად იქნება. ფელიქს მაგათის „ბაიერნის“ ყველა რგოლი კარგად დაბალანსებულია და მეოთხედფინალში გასულ ნებისმიერ მეტოქესთან ტოლ-სწორად თამაში ძალუძს.

### მილანი

„შავ-წითლების“ ქომაგები იმედოვნებენ, რომ „მილანს“ შარშანდელი აღარ დაემართება. გეხსომებათ, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალი, რომელშიც „მილანმა“ პირველ მატჩში შინ „დეპორტივოს“ 4:1 მოუგო, სტუმრად კი ყურები ჩამოყარა და 0:4 დამარცხდა. კარლო ანჩელოტისთვის სასიხარულო ისაა, რომ ერნან კრესპოს საჭირო დროს მადა გაეხსნა და „მანჩესტერ იუნაიტედს“ სწორედ მისი გოლებით სძლიეს. იაპ სტამის შეძენით „მილანის“ დაცვა კიდევ უფრო გაძლიერდა, ნახევარმცველების არჩევანიც ანჩელოტის უხვად აქვს და თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდს ანდრეი შევჩენკო ჰყავს, მეოთხედფინალში მილანელთა მოწინააღმდეგის პრობლემები ნამდვილად არ მოაკლდება.

### ჩელსი

ამბობენ, წლევანდელი ლიგის უდავო ფავორიტიაო. ჟოზე მოურინიუმ ერთი ჯილდო უკვე მოიგო — ინგლისის ლიგის თასის ფინალში „ლივერპულს“ სძლია და წილისყრამ ეს გუნდები კვლავ თუ შეახვედრა, საინტერესო ორი მატჩი გველის.

პრემიერლიგაში უკონკურენტოდ დაწინაურებული „ჩელსი“ ახლა ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მიიწევს და [illegible] რომან აბრამოვიჩისგან ყველა პირობა აქვს შექმნილი: ფული, ნიჭიერი მწვრთნელი და დავალების შემსრულებელი ჩინებული ფეხბურთელები — ესაა დღევანდელი „ჩელსი“.

### ლიონი

ზედიზედ სამგზის საფრანგეთის ჩემპიონი მიჯრით მეორედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. შარშან „პორტუსთან“ დამარცხდა, რომელმაც საბოლოოდ თასი მოიგო. წლეულს „ლიონი“ გაცილებით ძლიერია და ამის დასამტკიცებლად „ვერდერის“ ძლევაც საკმარისია. გერმანიის ჩემპიონს ფრანგებმა ორ მატჩში ათი გოლი გაუტანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

---

*პატარა ხელფასს, ფეხბურთელისგან გინებას, მწვრთნელთაგან კრიტიკას, ქომაგთაგან მუქარას — აი, რას ითმენს თანამედროვე მსაჯი, თუმცა 42 წლის შვედმა ანდერს ფრისკმა ველარ გაძლო და საქმიანობას თავი დაანება. დღეს ოპტიმისტები ამბობენ, რომ ფრისკის ამბავმა შესაძლოა ცვლილებები გამოიწვიოს. იქნებ მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ თამაშს რაიმე ეშველოსო, გაისმა კიდეც აქა-იქ*

# რა ღირს შეურაცხყოფა?



**ანდერს ფრისკს** წესით სამი წლის მერე უნდა დაენებებინა მსაჯობისთვის თავი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში, „ბარსელონასა“ და „ჩელსის“ შეხვედრის შემდეგ მან და მისმა ოჯახმა მუქარის წერილები მიიღეს, ეს კი მეტისმეტი იყო. გარდა ამისა, მოდით საკითხს ფრისკის ჯიბიდანაც შევხედოთ:

ჩემპიონთა ლიგის თამაშის მომსახურება (გთხოვთ კარგად გაიხსენოთ, რა შემოსავლების მქონე შეჯიბრებაზე გვაქვს საუბარი) ფრისკს აძლევდა 1 500 შვეიცარიულ ფრანკს როგორც ჰონორარს, 250 დღიურ სამივლინებოს, უფასო სასტუმროს და 3 000 ფრანკის ტოლ პრემიას. ახლა დავთვალოთ, თუ რას იღებდა ფრისკი შვედეთის ჩემპიონატში — ერთ მატჩში 6 400 ფრანკს და რამდენი მატჩი შეიძლება იმსაჯოს კაცმა სეზონში?

მოკლედ, დანარჩენი არითმეტიკა თქვენთვის დაგვითმია, ოღონდ ერთს გთხოვთ, ფრისკის შემოსავალი აუცილებლად შეადარეთ თუნდაც იმავე „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელების ხალფასებს, რომელიც ხშირად კვირაში 100 ათას დოლარს უდრის.

რაც შეეხება მუქარის წერილებს, ის ფრისკმა „ჩელსის“ თავკაცის, ჟოზე მაურინიუს კრიტიკული გამოსვლების შემდეგ მიიღო. შეგახსენებთ, რომ მაურინიუმ განაცხადა, „ბარსას“ მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი შესვენებისას მსაჯის ოთახში იყო და რაღაც იჩურჩულესო.

საბოლოოდ, ფრისკი მსაჯობიდან წავიდა, მან გადადგა იგივე ნაბიჯი, რაც შვეიცარიელმა ურს მაიერმა, რომელმაც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრების კარში ინგლისელების გატანილი, წესით გამარჯვების გოლი აღარ ჩათვალა. ფრისკის მსაჯობიდან წასვლას მოჰყვა დიდი გამოხმაურება, თუმცა საფეხბურთო სამყაროს ხალხი ყველაფერზე სადღაც სხვა მიმართულებით იშვერს ხელს.

უეფაში, მსაჯთა შეფმა ფოლკერ როტმა მაურინიუს ყოველივე ამის შემდეგ „ფეხბურთის მტერი“ უწოდა, ხოლო მაურინიუ პასუხად სასამართლოში ჩივილით დაემუქრა.

და ოთხშაბათს, ლონდონურმა „ივნინგ სტანდარდმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ფოლკერ როტთან, სადაც იგი ამბობს:

„პრობლემას დიდი ჩაძიება არ სჭირდება, მისი ფესვები აქვეა, ბალახის ფესვების სიღრმეზე. მსაჯობა სულ ნაკლებ და ნაკლებ ადამიანს სურს, რადგან ყველამ იცის, რომ გალანძღავენ. ვის უნდა ისეთი საქმისთვის ხელის მოკიდება, რომელიც აუცილებლად მისი შეურაცხყოფით დამთავრდება?“

რაც შეეხება ჰონორარის გაზრდას, ეს ალბათ, ცოტათი მაინც გამოასწორებს მდგომარეობას, რადგან შეიძლება გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თანხის გამო შეურაცხყოფას ყურადღებას აღარ მიაქცევენ.

**პაპუნა ძედია**

---

# დავიბრუნოთ ფეხბურთი



მიშელ პლატინი

**29 მაისს** „ეიზელის“ ტრაგედიის ოცი წლისთავია, ესე იგი ოცი წელი გავიდა მას მერე, რაც იუვენტუსელმა მიშელ პლატინიმ ჩემპიონთა თასი აღმართა. დღეს კი 1983, 84, 85 წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი თავისი სახეობის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი პოლიტიკოსია

49 წლის დიდმა ფრანგმა ვარსკვლავმა სამშაბათს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გაისად უეფას პრეზიდენტის თანამდებობაზე იყრის კენჭს. ვისაც ახსოვს, როგორ ფეხბურთს თამაშობდა პლატინი, დაგვეთანხმება, რომ მისგან უზუსტო გათვლა ნაკლებ მოსალოდნელია. ის ყოველთვის გამოირჩეოდა ამა თუ იმ მოქმედებისთვის დროის უკიდურესად სწორი შერჩევით და შესაბამისად, არც ახლა უნდა შემცდარიყო — რაკი თავის კანდიდატურას ერთი წლით ადრე აყენებს, ესე იგი საამისოდ საუკეთესო მომენტი ახლაა.

ჯერ კიდევ 2002 წელს, მანამდე, სანამ ლეგენდარულ ფრანგს უეფასა და ფიფას აღმასკომებში აირჩევდნენ, იგი ბევრს ევროპული ფეხბურთის მომავალ შეფად წარმოედგინათ და ასე არც მეტი, არც ნაკლები, თვით ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ხუმრობდა... უფრო სწორად კი ვითომ ხუმრობდა. ამასობაში კი, 76 წლის ლენარტ იუჰანსონმა ბრძანა, რომ უეფას 14-წლიანი მართვით დაიღალა და თანამდებობის მეხუთედ დაკავებას არ აპირებს.

და აი, ასეთ დროს პლატინიმ თავისი კანდიდატურა გამოაცხადა. იგი რინგზეა და მეტოქეს ელის. ვინ შეიძლება იყოს მისი მეტოქე? ალბათ, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის შეფი მატიე სპრენგერსი და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე ჯეფ ტომპსონი, მაგრამ დაგვეთანხმებით, არც ერთს აქვს პლატინის დარი ავტორიტეტი და ქარიზმა და არც მეორეს.

„თავიდან რომ გამოჩნდა, სერიოზულად არავინ მიიღო. ხანდახან ისეთ რამეს იტყოდა, იფიქრებდით დროის მატარებელს ჩამორჩაო, მაგრამ შემდეგ შეიცვალა. იგი სულ მეტ და მეტ საინტერესო აზრს და დაკვირვებას გვთავაზობდა. იგი ძალიან გაიზარდა, როგორც პოლიტიკოსიც და დღეს სულ სხვა პლატინია“ — უთხრა სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტს უეფას საკითხებში ერთმა ძალიან ჩახედულმა ადამიანმა.

თავად პლატინი კი ბრძანებს: „დღეს მსოფლიო ფეხბურთში ძალიან ბევრი რამეა და მე მინდა ეს შევცვალო. ჩემი მთავარი მიზანია მსოფლიოს ულამაზესი თამაში მხოლოდ ბიზნესად ქცევისგან დავიცვა. მერწმუნეთ, თანამდებობა პოპულარობისთვის არ მჭირდება, რადგან პოპულარობა არ მაკლია. არც ფულს ვეხარბები, იმიტომ რომ, თუ უეფას პრეზიდენტად ამირჩევენ, შემოსავალი დღევანდელთან შედარებით გამეზრდება“.

**პაპუნა ძედია**

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**ჩარლტონი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 ტომა (4), 2:0 მერფი (85)
ჩარლტონი: კაილი, ლ. იანგი, პერი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, რომედალი (ჯ. იოჰანსონი 53), მერფი, ჰოლანდი, კონჩესკი, ტომა (ფიში 76), ბარტლეტი (იუელი 71)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო (ტ. კელი 86), ე. გარდნერი, კინგი, ედმანი, რიდი, კარიკი (საიმონ დევისი 70), მ. ბრაუნი, ციგლერი (დეფო 60), კანუტი, რობი კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: იუელი, პამარო, ედმანი, ბრაუნი, რიდი
მსაჯი: ფოი
26 870 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 ბლეკბერნი**

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, პელეგრინო, კარაგერი, ურნოკი (ბიშკანი 82), ლუის გარსია, ჯერარდი, ჰამანი, შმიცერი (რიისე 46), ბაროში (ა. ნუნიესი 70), მორიენტესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ტოდი, ნელსენი, ნ. იოჰანსონი (მატეო 62), მოკოენა, ემერტონი, რიდი, ფლიტკროფტი, მ. პედერსენი, სტიდი (პ. გალაჰერი 75)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ჯერარდი, ფლიტკროფტი
მსაჯი: ნაითი
37 763 მაყურებელი

# მერსისაიდული დერბის წინ ბენიტესი და კიუელი ერთმანეთს ატყუებენ




ლივერპული — ბლეკბერნი. მილან ბაროშმა (შუაში) სტუმრებს ვერაფერი დააკლო

**ლამის** მთელ კვირაზე გაწელილ პრემიერლიგაში გუშინწინ კიდევ ორი გადადებული მატჩი გაიმართა: „ჩარლტონმა“ საკუთარ „ველიზე“ დაამარცხა „ტოტენჰემი“, ხოლო „ლივერპული“ და „ბლექბერნი“ უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

„ველიზე“ ჟერომ ტომამ და დენი მერფიმ თითო საოცარი გოლი გაუტანეს „ტოტენჰემს“ და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვეს. უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლაში „ჩარლტონმა“ ახლა უკვე მთელი 4 ქულით გადაუსწრო „ტოტენჰემს“, ქულით კი „მიდლსბროს“. იმავდროულად, გაუსწორდა „ბოლტონს“ და მხოლოდ ქულითღა ჩამორჩება „ლივერპულს“, რომელიც თავის მხრივ ცდილობს, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზური აართვას თანაქალაქელ და მოსისხლე „ევერტონს“.

მოკლედ და ჯამში „ჩარლტონი“ კარგ მეშვიდე ადგილზეა და ბრძოლა შეუძლია. „ჩვენ კარგი დასაწყისი გვქონდა — — თქვა ჩარლტონელთა ბოსმა ალან კერბიშლიმ — ჟერომ ტომამ ზღაპრულად დაარტყა“.

„ტოტენჰემმა“ კი თავისი შანსები ხელიდან გაუშვა, რამაც მენეჯერ მარტინ იოლს გული ძალიან დასწყვიტა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა „ენფილდზე“, სადაც უხეიროდ მოთამაშე „ლივერპულმა“ ვერაფერი მოუხერხა „ბლექბერნს“ და ცხრილში წინ წაწევის შანსი ხელიდან გაუშვა. ახლა სხვაობა მეოთხე ადგილზე მდგომ დევიდ მოიესის გუნდსა და მის მადევარ „ლივერპულს“ შორის 7 ქულაა.

„წითლების“ მენეჯერმა რაფა ბენიტესმა კი განაცხადა: „ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მოვიგებდით. მხოლოდ სამ ქულაზე ვფიქრობდით. ამით 5 ქულამდე დავიყვანდით სხვაობას „ევერტონთან“. კვირას კი მათვე ვხვდებით მერსისაიდულ დერბიში და იმედი გვქონდა, რომ იმ თამაშის შემდეგ სხვაობას კიდევ უფრო შევამცირებდით. თუმცა, ჩემს გუნდს არ ვაკრიტიკებ. ასეც ხდება“.

„ლივერპულში“ კიდევ ერთი უხერხულობა შეიმჩნევა: ყველამ იცის, რომ ავსტრალიელი ჰარი კიუელი ტრავმის გამო არ თამაშობს, თავად ჰარი კი ამბობს: „მე ჯანზე ვარ, მწვრთნელი იტყუება. ჩემპიონთა თასზე თამაშიც კი გამომტოვებინა“.

ბენიტესი კი პასუხობს: „ჰარი ახლა ახალ ექიმთანაა, უკეთ გამოიკვლევენ. მომწონს, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის. თუმცა, მას დრო სჭირდება“.

მოდი და გაიგე.

„ბლექბერნის“ თავკაცი მარკ ჰიუზი კი ამბობს: „ხალხმა იცის, რომ მიყოლებით გვაქვს თამაშები „ევერტონთან“, „ლივერპულთან“, „არსენალთან“ და „მანჩესტერთან“. ბევრს ეგონა, რომ ამ სერიაში ქულასაც ვერ ავიღებდით. ჩვენ ორ თამაშში უკვე 4 ქულა ავიღეთ. რა ვქნათ, სხვა გზა არ გვაქვს, ვმუშაობთ და ვიბრძვით“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 29 | 23 | 5 | 1 | 54:9 | 74 |
| მანჩესტერი | 29 | 18 | 9 | 2 | 47:17 | 63 |
| არსენალი | 29 | 18 | 7 | 4 | 67:32 | 61 |
| ევერტონი | 29 | 15 | 6 | 8 | 34:30 | 51 |
| ლივერპული | 29 | 13 | 5 | 11 | 41:30 | 44 |
| ბოლტონი | 29 | 12 | 7 | 10 | 37:34 | 43 |
| ჩარლტონი | 29 | 12 | 7 | 10 | 34:38 | 43 |
| მიდლსბრო | 29 | 11 | 9 | 9 | 43:39 | 42 |
| ტოტენჰემი | 29 | 11 | 6 | 12 | 35:33 | 39 |
| ასტონ ვილა | 29 | 10 | 8 | 11 | 34:37 | 38 |
| ნიუკასლი | 28 | 9 | 10 | 9 | 40:44 | 37 |
| სიტი | 29 | 9 | 9 | 11 | 34:32 | 36 |
| ბირმინგემი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:37 | 32 |
| ბლექბერნი | 29 | 7 | 11 | 11 | 25:36 | 32 |
| ფულემი | 28 | 8 | 6 | 14 | 33:46 | 30 |
| პორტსმუთი | 29 | 8 | 6 | 15 | 31:45 | 30 |
| კრ. პალასი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:45 | 26 |
| საუთჰემპტონი | 29 | 4 | 12 | 13 | 30:44 | 24 |
| ვესტ ბრომვიჩი | 29 | 3 | 12 | 14 | 25:50 | 21 |
| ნორვიჩი | 29 | 3 | 11 | 15 | 29:58 | 20 |

# ანჩელოტიმ შეცდომები აღიარა კონტი მოუგებლად იმარჯვებს

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი
### საპასუხო მატჩები

**ფიორენტინა 1(დდ.(პენ.4:7) რომა (0:1)**

1:0 ფერარი (12ს.კ.)
ფიორენტინა: კეიასი, მაჯო, უიფალუში, დაინელი, კიელინი, არიატი (რიგანო 52), დონადელი, ობოდო, ნაკატა (ფანტინი 87), მიკოლი, პაცინი (იორგენსენი 56)
მწვრთნელი: დინო ძოფი
რომა: კურჩი, შავიერი (დელასი 80), მ. ფერარი, კივუ, კუფრე, მანსინი (ა. კასანო 87), პეროტა, დე როსი, აკილანი, ტოტი, მონტელა (სკურტო 8)
მწვრთნელი: ბრუნო კონტი
გაფრთხილება: დაინელი, ფერარი, არიატი, ფერარი, მაჯო
გაძევება: ფერარი (97), დე როსი (120)
მსაჯი: საკანი
20 000 მაყურებელი

**უდინეზე 4:1 მილანი (2:3)**

1:0 იაკინტა (20), 2:0 მაური (60), 2:1 ტომასონი (77), 3:1 დი მიკელე (793), 4:1 მაური (90)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, ფელიპე, ბელერი, დ. ძენონი (მუნტარი 82), პინცი, დ. პიზარო (პაზიენცა 85), იანკულოვსკი, მაური, დი ნატალე (დი მიკელე 60), იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მილანი: აბიატი, პანკარო, სტამი (შიმიჩი 35), კოსტაკურტა, კალაძე, ბროკი (ფ. ინძაგი 60), ამბროზინი, დორასო, რუი კოშტა (ზეედორფი 46), სერჟინიო, ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
მსაჯი: მორგანტი
13 000 მაყურებელი




ფიორენტინა — რომა. ფრანჩესკო ტოტი და რომაელები ნახევარფინალში გასვლას ზეიმობენ

**კარლო ანჩელოტის** „მილანი“ იტალიის თასის გათამაშებას გამოეთიშა, თანაც საკმაოდ მოულოდნელი და გამანადგურებელი ანგარიშის შედეგად. „როსონერის“ თავკაცმა დანაპირები — „უდინეზესთან“ განსხვავებულ გუნდს ითამაშებ და კრიტიკოსებს სათქმელი აღარაფერი გაქრებათო — ვერ აასრულა.

„მილანს“ ანდრეი შევჩენკო, ალესანდრო ნესტა, პოლო მალდინი, ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო, კაფუ, კაკა, ერნან კრესპო და ძირითადი მეკარე დიდა აკლდნენ. ანჩელოტიმ დაცვის გაძლიერება შეტევის დასუსტების ხარჯზე გადაწყვიტა და მინდორზე ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდით — იონ დალ ტომასონით გავიდა.

მასპინძლებმა ანგარიშის გახსნა შეხვედრის დებიუტშივე შეძლეს. მე-20 წუთზე ჯანპიერო პინცის პასი ვინჩენცო იაკინტამ შეირგო. ეს ანგარიში უკვე „ფრიულის“ ბინადრებს აძლევდათ ხელს და სტუმრებიც იძულებულნი გახდნენ, შეტევაში გადასულიყვნენ.

34-ე წუთზე იაპ სტამმა მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ შესაცვლელი შეიქნა და „მილანის“ დაცვა კიდევ უფრო დასუსტდა, თუმც პირველ ნახევარში განსაკუთრებულად აღსანიშნავი არც ერთ გუნდს არაფერი შეუქმნია.

მეორე ტაიმში „მილანის“ „ძირითადელი“ კლარენს ზეედორფი შევიდა მინდორზე და სტუმრებმა მისი მეცადინეობით შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ „უდინეზე“ მალევე გამოფხიზლდა და მეორე ბურთიც შეაგდო. ანჩელოტიმ საპასუხოდ მინდორზე მაშინვე ფილიპო ინძაგი შეუშვა, რომელმაც დაბრუნება გოლით აღნიშნა, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარეს გამო არ ჩათვალეს.

ვითარება 77-ე წუთზე დაიძაბა, როდესაც იონ დალ ტომასონმა იყოჩაღა და ერთი ბურთი გაქვითა, თუმცა ორ წუთში შეცვლაზე შესული და აქტიურად მოთამაშე დავიდე დი მიკელე კახა კალაძემ საჯარიმოში მოცელა. დაზარალებულმა თერთმეტმეტრიანი თავად გაიტანა, ხოლო 90-ე წუთზე სტეფანო მაური საგოლე პასით მოამარაგა, რომელსაც დუბლის შესრულება არ გასჭირვებია.

„მთავარი შეცდომები პირველ ტაიმში დავუშვით. შესვენების შემდეგ უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა, ხოლო მეტოქემ კონტრშეტევები გამოიყენა და სასურველ შედეგს მიაღწია“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

უდინელთა თავკაც ლუჩანო სპალეტის კომენტარი კი ასეთია: „ამ თამაშში დიდი უპირატესობა არ გვქონია, მაგრამ კარგად გამოვიყურებოდით და იღბალმაც ზურგი არ გვაქცია. ბუნებრივია, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ“.

„უდინეზეს“ მომავალი მეტოქის ვინაობა კი ფლორენციაში გაირკვა, სადაც „რომამ“ ბევრი იწვალა და საბოლოოდ იმ ანგარიშით წააგო, რომლითაც „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოიგო. „ფიორენტინას“ პენალტებში სძლია და ნახევარფინალში გავიდა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მატჩის დებიუტშივე მატეო ფერარიმ საკუთარ კარში შეაგდო. დამატებით დროში კი ფერარი და დანიელე დე როსი უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს. თუმც „რებს“ ვერც ამან უშველა და მიუხედავად საგრძნობი უპირატესობისა, მათ მეტოქის კარის მეორედ აღება ვერ შეძლეს.

ბუნებრივია, დამწუხრებული იყო მათი თავკაცი დინო ძოფი: „საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ბევრი საგოლე შანსი გავანიავეთ, პენალტები კი უბრალო ლატარიაა“.

რომაელთა ახალ თავკაც ბრუნო კონტის კი თავის გუნდთან ერთად ჯერ არ მოუგია, მაგრამ პირველ წარმატებას კი მიაღწია.

„გუნდში რაღაც სიახლის შემოტანა მინდოდა და მიხარია, რომ ეს მოხერხდა. რაც მთავარია, ნახევარფინალში ვართ. განსაკუთრებული მადლობა კრისტიან კივუს მინდა ვუთხრა, რომელსაც ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია, მაგრამ მთელი 120 წუთი მაღალ დონეზე თამაში შეძლო“ — დასძინა კონტიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბექემს მილანი მოსწონებია

**იტალიურ** და ესპანურ პრესაში დევიდ ბექემის „მილანში“ შესაძლო გადასვლაზე ალაპარაკდნენ. ჭორების აგორებას ხელი თავად ინგლისის ნაკრების კაპიტანმაც შეუწყო, როდესაც „როსონერის“ მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

დევიდ ბექემი: „მილანისადმი“ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი. კარლო ანჩელოტის ბრწყინვალე გუნდი ჰყავს, რომელიც ყველა ხაზში ძლიერია. ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ძალიან სერიოზული კონკურენციაა“.

მოგეხსენებათ, „მილანს“ ბექემის შეძენა ადრეც სურდა, მაგრამ მაშინ „რეალს“ ფინანსური თვალსაზრისით კონკურენცია ვერ გაუწია, ახლა კი მადრიდელთა რიგებში სერიოზული წმენდაა მოსალოდნელი და დიდი შანსია, ზაფხულში „სამეფო კლუბის“ დატოვება ინგლისელსაც მოუხდეს.

როგორც ამბობენ, მილანელები „რეალს“ ფულთან ერთად მასიმო ამბროზინის შესთავაზებენ, რომელსაც ანჩელოტისთან იდეალური ურთიერთობა ნამდვილად არ აქვს და სავარაუდოდ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგებას სიამოვნებით დასთანხმდება.

„ჯერ სერიოზული საუბარი ამ თემაზე არ ყოფილა. ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებ. ამჟამად მხოლოდ „მილანი“ მაღელვებს. ვფიქრობ, ძირითადში კუთვნილ ადგილს ვიმსახურებ“ — განმარტა ბოლოს ამბროზინიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# უეფას თასი მეოთხედფინალი

პირველი მატჩი

სტიაუა (რუმინეთი) 0:0 ვილიარეალი (ესპანეთი)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 20 მარტს*

საპასუხო მატჩები

*ალკმაარი (ჰოლანდია)* 2:1 შახტარი (უკრაინა) (3:1)

1:0 ვან გალენი (9), 2:0 მეერდინკი (65), 2:1 ელანო (67)

*ნიუკასლი (ინგლისი)* 4:0 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (3:1)

1:0 დაიერი (18), 2:0 შირერი (45), 3:0 ბოიერი (55), 4:0 შირერი (69)



REUTERS

ალკმაარი — შახტარი. მასპინძელმა რობინ ნელისემ სტუმარი დარიო სრნა ბურთს არ გააკარა

# ვინ დააჩოქებს ალკმაარს?

## ნიუკასლი 4:0 ოლიმპიაკოსი

„ნიუკასლმა" „ოლიმპიაკოსს" უარესი დღე აყარა, ვიდრე პირველ მატჩში. პირეოსული 3:1-ის შემდეგ წესით, ბერძნებს უნდა გაებრძოლათ, მაგრამ „სენტ ჯეიმს პარკზე" მასპინძლებმა მცირეოდენი შანსიც კი არ დაუტოვეს. „როცა სტუმრად ორი ბურთის სხვაობით გაქვს მოგებული, საქმე თითქოს დამთავრებულია, მაგრამ ფეხბურთელებს პირველი შეხვედრის დავიწყება ვთხოვე და მათაც თავიდანვე შეუტიეს" — განაცხადა გრემ სუნესმა.

ანგარიში პირველ ტაიმში კირონ დაიერმა გახსნა — კარისკენ ზურგით მდგარმა ბურთი ბადეში ქუსლით შეასრიალა. ტაიმის მიწურულს ალან შირერმა დაიერის პასით მეორე გაიტანა, ხოლო შესვენების შემდეგ ლი ბოიერმაც გაიხარა. მისი ნათავურალი ბურთი მეკარემ გამოაძრო, მაგრამ ჯერმენ ჯენასმა მიუსწრო და ისევ ბოიერს მიუგორა, რომელმაც მეორე ცდით იხეირა. მეოთხე გოლი კვლავ შირერმა მიითვალა და უეფას თასზე ახლა უკვე ათი გოლი მოუგროვდა.

## ალკმაარი 2:1 შახტარი

„ალკმარმა" საშინაო წაუგებელი სვლა განაგრძო. კო ადრიანსეს შეგირდები საკუთარ სტადიონზე ზედიზედ თვრამეტ შეხვედრაში არ დამარცხებულან. „შახტარისთვის" კი უეფას თასი ორი კვირის წინ იყო დასრულებული.

## სტიაუა 0:0 ვილიარეალი

ორი კვირის წინ გასამართი მატჩი, რომელიც უამინდობის გამო გადმოიტანეს, უგოლოდ დასრულდა. თუმც მასპინძელთა იტალიელმა მწვრთნელმა ვალტერ ძენგამ განაცხადა: „ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ახლა შემიძლია ვთქვა, რომ „სტიაუა" ესპანეთში მოსაგებად ჩავა".

„ვილიარეალი" აშკარად კმაყოფილი უნდა იყოს შედეგით, რადგან ბუქარესტელებმა არაერთი საგოლე მომენტი ჩააფლავეს. პირველი ტაიმის მიწურულს კრისტია რეინასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმა დააჩქარა, დანიცე კი მეორე ნახევრის დასაწყისში უკეთეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმც კარში ვერ დაუმიზნა.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS

ნიუკასლი — ოლიმპიაკოსი. ალან შირერმა ბერძნები ორჯერ „დაბომბა"

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

დენ ჰააგი 0:2 ჰერენვენი

0:1 ვაირინენი (4), 0:2 ბრუგინკი (74პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 19 | 4 | 1 | 65:13 | 61 |
| ალკმაარი | 24 | 17 | 6 | 1 | 56:18 | 57 |
| აიაქსი | 24 | 16 | 5 | 3 | 51:21 | 53 |
| ფეიენოორდი | 24 | 14 | 5 | 5 | 66:28 | 47 |
| ვიტესი | 25 | 13 | 4 | 8 | 43:33 | 43 |
| ტვენტე | 25 | 11 | 5 | 9 | 33:28 | 38 |
| ჰერენვენი | 25 | 11 | 5 | 9 | 41:42 | 38 |
| უტრეხტი | 25 | 10 | 6 | 9 | 29:28 | 36 |
| ვალვაიკი | 25 | 9 | 7 | 9 | 32:34 | 34 |
| გრონინგენი | 24 | 9 | 5 | 10 | 34:39 | 32 |
| როდა | 25 | 8 | 6 | 11 | 42:43 | 30 |
| ბრედა | 25 | 8 | 6 | 11 | 33:49 | 30 |
| ტილბურგი | 25 | 8 | 4 | 13 | 28:48 | 28 |
| დენ ჰააგი | 25 | 7 | 5 | 13 | 29:41 | 26 |
| ნაიმეგენი | 25 | 5 | 8 | 12 | 25:35 | 23 |
| გრააფსხაპი | 25 | 4 | 6 | 15 | 26:57 | 18 |
| როზენდალი | 25 | 5 | 2 | 18 | 24:58 | 17 |
| დენ ბოსხი | 24 | 2 | 3 | 19 | 13:55 | 9 |

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

სენტ ეტიენი 3:0 აიაჩო

1:0 ფეინდუნო (53), 2:0, 3:0 პიკიონი (64, 66)

სტრასბური 0:0 მონაკო

სოშო 2:1 მეცი

1:0 ილანი (12პ), 1:1 პრომენი (17პ), 2:1 ილანი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 29 | 16 | 11 | 2 | 41:16 | 59 |
| მარსელი | 29 | 15 | 6 | 8 | 37:27 | 51 |
| ლილი | 29 | 12 | 12 | 5 | 33:21 | 48 |
| მონაკო | 29 | 11 | 14 | 4 | 38:25 | 47 |
| ოსერი | 28 | 12 | 7 | 9 | 39:32 | 43 |
| ტულუზი | 28 | 11 | 9 | 8 | 29:27 | 42 |
| სოშო | 29 | 11 | 8 | 10 | 33:28 | 41 |
| სენტ ეტიენი | 29 | 9 | 13 | 7 | 37:27 | 40 |
| რენი | 29 | 11 | 7 | 11 | 33:32 | 40 |
| ბორდო | 29 | 8 | 15 | 6 | 31:25 | 39 |
| ლანსი | 29 | 9 | 11 | 9 | 31:28 | 38 |
| პსჟ | 29 | 8 | 12 | 9 | 28:32 | 36 |
| ნანტი | 29 | 8 | 9 | 12 | 24:28 | 33 |
| ნიცა | 29 | 7 | 12 | 10 | 32:40 | 33 |
| მეცი | 29 | 7 | 12 | 10 | 25:35 | 33 |
| სტრასბური | 29 | 7 | 11 | 11 | 31:34 | 32 |
| კაენი | 29 | 6 | 11 | 12 | 23:48 | 29 |
| აიაჩო | 29 | 5 | 13 | 11 | 21:32 | 28 |
| ბასტია | 29 | 6 | 8 | 15 | 21:35 | 26 |
| ისტრი | 29 | 3 | 13 | 13 | 17:32 | 22 |

## ბელგია

იუპილერლიგა
გადადებული მატჩი

სტანდარდი 1:0 ლუვიე

1:0 ფერარტსი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 25 | 20 | 3 | 2 | 66:18 | 63 |
| ანდერლეხტი | 25 | 17 | 4 | 4 | 53:24 | 55 |
| სტანდარდი | 25 | 15 | 5 | 5 | 42:21 | 50 |
| გენკი | 25 | 14 | 6 | 5 | 38:27 | 48 |
| გენტი | 25 | 13 | 4 | 8 | 32:26 | 43 |
| შარლერუა | 25 | 12 | 7 | 6 | 30:25 | 43 |
| ვესტერლო | 25 | 11 | 4 | 10 | 27:36 | 37 |
| ლუვიე | 25 | 10 | 6 | 9 | 33:24 | 36 |
| ლოკერენი | 25 | 8 | 9 | 8 | 27:28 | 33 |
| ბევერენი | 25 | 8 | 6 | 11 | 36:40 | 30 |
| ბეერსხოტი | 25 | 8 | 5 | 12 | 26:25 | 29 |
| ლიერსი | 25 | 8 | 5 | 12 | 39:48 | 29 |
| სერკლი | 25 | 8 | 4 | 13 | 36:61 | 28 |
| მუსკრონი | 25 | 6 | 6 | 13 | 33:38 | 24 |
| სენტ ტრუიდენი | 25 | 6 | 6 | 13 | 28:41 | 24 |
| ბრიუსელი | 25 | 6 | 2 | 17 | 24:49 | 20 |
| ოსტენდე | 25 | 4 | 7 | 14 | 24:48 | 19 |
| მონსი | 25 | 5 | 3 | 17 | 30:45 | 18 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ინვერნესი 0:2 სელტიკი

0:1 ბელამი (63), 0:2 ა. ტომპსონი (84პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 30 | 23 | 6 | 1 | 63:14 | 75 |
| სელტიკი | 29 | 24 | 2 | 3 | 67:22 | 74 |
| აბერდინი | 29 | 14 | 6 | 9 | 33:26 | 48 |
| ჰიბერნიანი | 29 | 14 | 5 | 10 | 47:42 | 47 |
| ჰართსი | 29 | 11 | 9 | 9 | 32:28 | 42 |
| მოზერუელი | 29 | 11 | 6 | 12 | 35:35 | 39 |
| კილმარნოკი | 30 | 11 | 2 | 17 | 38:50 | 35 |
| ინვერნესი | 29 | 8 | 9 | 12 | 34:39 | 33 |
| დანფერმლაინი | 29 | 6 | 8 | 15 | 25:46 | 26 |
| დანდი | 29 | 6 | 6 | 17 | 28:56 | 24 |
| ლივინგსტონი | 29 | 6 | 5 | 18 | 24:49 | 23 |
| დანდი იუნ. | 29 | 4 | 10 | 15 | 29:48 | 22 |

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი

ბილბაო 1:2 ხეტაფე

1:0 ესკერო (35), 1:1 კომე (63), 1:2 მიჩელი (79)

**ბილბაო:** არანსუბია, ლაკრუსი, ორბაისი, მურილიო, მოია, ხავი გონსალესი (ტიკო 66), ირაოლა (ლ. პრიეტო 56), გურპეგი (იულენ გერერო 75), ესკერო, ეჩებერია, ურსაისი

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

**ხეტაფე:** არაგონესესი, იანგუასი, მ. პერნია, ნანო, ბელენგერი, დ. რივასი (მიჩელი 46), რ. ალბიოლი, ვივარ დორადო, მარიო კოტელო, კომე, რიკი (კრაიოვიანუ 82)

მწვრთნელი: კიკე ფლორესი

გაფრთხილება: რივასი, ბელენგერი, მიჩელი, მოია, ალბიოლი, ეჩებერია

მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი

28 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 28 | 20 | 5 | 3 | 53:18 | 65 |
| რეალი | 28 | 17 | 3 | 8 | 48:25 | 54 |
| ვილიარეალი | 28 | 13 | 8 | 7 | 48:26 | 47 |
| ბეტისი | 28 | 12 | 9 | 7 | 45:36 | 45 |
| ესპანიოლი | 28 | 13 | 6 | 9 | 35:33 | 45 |
| ვალენსია | 28 | 11 | 10 | 7 | 41:29 | 43 |
| 10178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.5 | 2.5 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.84 |
| 10180 | ლივორნო-კალიარი | 2.6 | 2.0 | 3.8 | 1.13 | 1.54 | 1.31 |
| 10181 | მესინა-ბოლონია | 2.75 | 2.0 | 3.45 | 1.15 | 1.53 | 1.26 |
| 10182 | პარმა-პალერმო | 2.8 | 2.0 | 3.3 | 1.16 | 1.51 | 1.24 |
| 10183 | სამპდორია-ატალანტა | 1.8 | 2.2 | 6.0 | 1.0 | 1.38 | 1.6 |
| 10184 | კიევო-ბრეშა | 2.4 | 2.0 | 4.3 | 1.09 | 1.54 | 1.36 |
| 10185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.7 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.66 |
| 10187 | უდინეზე-ლეჩე | 1.95 | 2.1 | 5.3 | 1.01 | 1.42 | 1.5 |
| 10188 | რომა-მილანი | 4.0 | 2.0 | 2.4 | 1.33 | 1.5 | 1.09 |
| 10211 | ბილბაო-ლევანტე | 1.95 | 2.1 | 5.3 | 1.01 | 1.42 | 1.5 |
| 10212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.7 | 2.3 | 5.6 | 1.0 | 1.3 | 1.63 |
| 10213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2.05 | 2.0 | 5.0 | 1.01 | 1.45 | 1.42 |
| 10215 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.4 | 2.0 | 2.7 | 1.25 | 1.5 | 1.14 |
| 10216 | მალიორკა-სევილია | 2.85 | 2.0 | 3.3 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10217 | ნუმანსია-რასინგი | 2.7 | 2.0 | 3.6 | 1.14 | 1.54 | 1.28 |
| 10219 | რეალი-მალაგა | 1.6 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.26 | 1.66 |
| 10221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.75 | 2.4 | 6.0 | 1.01 | 1.35 | 1.71 |
| 10222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 2.6 | 2.0 | 3.8 | 1.13 | 1.54 | 1.31 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11004 | ბლექბერნი-არსენალი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11006 | ჩელსი-კრისტალ პალასი | 1.6 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11009 | მანჩესტერი-ფულემი | 1.5 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.5 |
| 11013 | ტოტენჰემი-სიტი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11016 | ლივერპული-ევერტონი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11106 | ლევერკუზენი-ლაუტერნი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11109 | ბაიერნი-ჰანზა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11113 | ჰანოვერი-გლადბახი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11114 | ჰერტა-არმინია | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11116 | მაინცი-შალკე | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.5 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11177 | სიენა-ლაციო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11180 | ლივორნო-კალიარი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11181 | მესინა-ბოლონია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11182 | პარმა-პალერმო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11183 | სამპდორია-ატალანტა | 1.9 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11184 | კიევო-ბრეშა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11187 | უდინეზე-ლეჩე | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11188 | რომა-მილანი | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.6 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 11211 | ბილბაო-ლევანტე | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11215 | დეპორტივო-ბარსელონა | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11216 | მალიორკა-სევილია | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11217 | ნუმანსია-რასინგი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11219 | რეალი-მალაგა | 1.6 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13004 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | ჩელსი-კრისტალ პალასი | 1.9 | 1.7 |
| 13008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | მანჩესტერი-ფულემი | 1.9 | 1.7 |
| 13011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13013 | ტოტენჰემი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13016 | ლივერპული-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13106 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1.6 | 2.0 |
| 13107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 1.6 | 2.0 |
| 13109 | ბაიერნი-ჰანსა | 1.7 | 1.9 |
| 13111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1.55 | 2.1 |
| 13112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.6 | 2.1 |
| 13113 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.6 | 2.1 |
| 13114 | ჰერტა-არმინია | 1.6 | 2.1 |
| 13115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13116 | მაინცი-შალკე | 1.6 | 2.0 |
| 13177 | სიენა-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.9 | 1.7 |
| 13180 | ლივორნო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13181 | მესინა-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13182 | პარმა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13183 | სამპდორია-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13184 | კიევო-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13187 | უდინეზე-ლეჩე | 1.5 | 2.3 |
| 13188 | რომა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13211 | ბილბაო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 13215 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13216 | მალიორკა-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13217 | ნუმანსია-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13219 | რეალი-მალაგა | 1.9 | 1.7 |
| 13221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12004 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 12006 | ჩელსი-კრისტალ პალასი | 2.0 | 1.6 |
| 12008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | მანჩესტერი-ფულემი | 1.9 | 1.7 |
| 12011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 12012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12013 | ტოტენჰემი-სიტი | 1.6 | 2.0 |
| 12014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12016 | ლივერპული-ევერტონი | 1.6 | 2.0 |
| 12106 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 2.2 | 1.5 |
| 12107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 2.2 | 1.55 |
| 12109 | ბაიერნი-ჰანსა | 2.1 | 1.6 |
| 12111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 2.2 | 1.6 |
| 12112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2.1 | 1.6 |
| 12113 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12114 | ჰერტა-არმინია | 2.0 | 1.65 |
| 12115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 2.2 | 1.55 |
| 12116 | მაინცი-შალკე | 2.1 | 1.6 |
| 12177 | სიენა-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.9 | 1.7 |
| 12180 | ლივორნო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 12181 | მესინა-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12182 | პარმა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 12183 | სამპდორია-ატალანტა | 1.6 | 2.0 |
| 12184 | კიევო-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 12185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.9 | 1.7 |
| 12187 | უდინეზე-ლეჩე | 2.2 | 1.5 |
| 12188 | რომა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12211 | ბილბაო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 12212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 12213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 12215 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 12216 | მალიორკა-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12217 | ნუმანსია-რასინგი | 1.6 | 2.0 |
| 12219 | რეალი-მალაგა | 2.0 | 1.6 |
| 12221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14004 | ბლეკბერნი-არსენალი | 2.4 | 1.45 |
| 14006 | ჩელსი-კრისტალ პალასი | 1.03 | 2.9 |
| 14008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.45 | 2.4 |
| 14009 | მანჩესტერი-ფულემი | 1.05 | 2.9 |
| 14011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1.45 | 2.4 |
| 14012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.95 | 1.85 |
| 14013 | ტოტენჰემი-სიტი | 1.65 | 2.3 |
| 14014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 1.3 | 2.5 |
| 14015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14016 | ლივერპული-ევერტონი | 1.7 | 2.2 |
| 14106 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1.45 | 2.4 |
| 14107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 2.1 | 1.75 |
| 14109 | ბაიერნი-ჰანსა | 1.07 | 2.9 |
| 14111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.65 | 2.3 |
| 14113 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.75 | 2.1 |
| 14114 | ჰერტა-არმინია | 1.3 | 2.5 |
| 14115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1.08 | 2.9 |
| 14116 | მაინცი-შალკე | 2.2 | 1.65 |
| 14177 | სიენა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 14178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.07 | 2.9 |
| 14180 | ლივორნო-კალიარი | 1.75 | 2.1 |
| 14181 | მესინა-ბოლონია | 1.8 | 2.0 |
| 14182 | პარმა-პალერმო | 1.9 | 1.9 |
| 14183 | სამპდორია-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14184 | კიევო-ბრეშა | 1.7 | 2.2 |
| 14185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.2 | 2.6 |
| 14187 | უდინეზე-ლეჩე | 1.45 | 2.4 |
| 14188 | რომა-მილანი | 2.0 | 1.75 |
| 14211 | ბილბაო-ლევანტე | 1.45 | 2.4 |
| 14212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.3 | 2.5 |
| 14213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.45 | 2.4 |
| 14215 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.9 | 1.8 |
| 14216 | მალიორკა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 14217 | ნუმანსია-რასინგი | 1.8 | 2.0 |
| 14219 | რეალი-მალაგა | 1.2 | 2.6 |
| 14221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.2 | 2.6 |
| 14222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1.75 | 2.1 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16004 | ბლეკბერნი-არსენალი | 2.8 | 1.25 |
| 16008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 3.2 |
| 16009 | მანჩესტერი-ფულემი | 1.05 | 5.8 |
| 16011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1.3 | 2.8 |
| 16012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.8 | 1.65 |
| 16013 | ტოტენჰემი-სიტი | 1.3 | 2.75 |
| 16014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 1.2 | 3.4 |
| 16015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.55 | 2.1 |
| 16016 | ლივერპული-ევერტონი | 1.3 | 2.7 |
| 16106 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1.2 | 3.3 |
| 16107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 2.3 | 1.4 |
| 16111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1.6 | 1.9 |
| 16112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.25 | 2.9 |
| 16113 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.5 | 2.2 |
| 16114 | ჰერტა-არმინია | 1.2 | 3.4 |
| 16115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1.05 | 5.5 |
| 16116 | მაინცი-შალკე | 2.8 | 1.3 |
| 16177 | სიენა-ლაციო | 1.6 | 1.9 |
| 16178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.05 | 5.5 |
| 16180 | ლივორნო-კალიარი | 1.45 | 2.3 |
| 16181 | მესინა-ბოლონია | 1.5 | 2.3 |
| 16182 | პარმა-პალერმო | 1.6 | 1.9 |
| 16183 | სამპდორია-ატალანტა | 1.15 | 4.2 |
| 16184 | კიევო-ბრეშა | 1.35 | 2.6 |
| 16185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.12 | 4.2 |
| 16187 | უდინეზე-ლეჩე | 1.25 | 3.15 |
| 16188 | რომა-მილანი | 2.3 | 1.5 |
| 16211 | ბილბაო-ლევანტე | 1.25 | 3.3 |
| 16212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.15 | 4.0 |
| 16213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.25 | 3.3 |
| 16215 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.9 | 1.6 |
| 16216 | მალიორკა-სევილია | 1.65 | 1.9 |
| 16217 | ნუმანსია-რასინგი | 1.55 | 2.0 |
| 16219 | რეალი-მალაგა | 1.1 | 4.4 |
| 16221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.12 | 4.2 |
| 16222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1.5 | 2.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15004 | ბლეკბერნი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ჩელსი-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | მანჩესტერი-ფულემი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15013 | ტოტენჰემი-სიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15016 | ლივერპული-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15106 | ლევერკუზენი-ლაუტერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15109 | ბაიერნი-ჰანსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15113 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15114 | ჰერტა-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15116 | მაინცი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15177 | სიენა-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15178 | იუვენტუსი-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15180 | ლივორნო-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15181 | მესინა-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15182 | პარმა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15183 | სამპდორია-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15184 | კიევო-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15185 | ინტერი-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15187 | უდინეზე-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15188 | რომა-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | ბილბაო-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | ბეტისი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | დეპორტივო-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15216 | მალიორკა-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15217 | ნუმანსია-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15219 | რეალი-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15221 | ვალენსია-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17004 | ბლეკბერნი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩელსი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ჩარლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | მანჩესტერი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ტოტენჰემი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ბოლტონი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ლივერპული-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | ნიურნბერგი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ბაიერნი-ჰანსა | 1.85 | 1.95 |
| 17111 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17114 | ჰერტა-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17115 | შტუტგარტი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17116 | მაინცი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17177 | სიენა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17178 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17180 | ლივორნო-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | მესინა-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17182 | პარმა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17183 | სამპდორია-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17184 | კიევო-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17185 | ინტერი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17187 | უდინეზე-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17188 | რომა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ბილბაო-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ბეტისი-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | დეპორტივო-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17216 | მალიორკა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ნუმანსია-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | რეალი-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ვალენსია-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |
| 17222 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |

# სტუდენტური ცაიტნოტი

## თსუ-ს კოკას წყალი კი არა, ფული უნდა

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს რომ ფინანსური პრობლემები აწუხებს, ძველი ამბავია. ახლა კი სტუდენტებს კალათბურთის ფედერაციამ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის დაფარვა მოსთხოვა, რაც ისედაც გაღატაკებულ თსუ-ს დაშლას უქადის. გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ამ დღეებში უნდა გადაეწყვიტა კალათბურთელების ბედი. გუშინვე რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე პოტენციურ სპონსორსაც ესაუბრა, მაგრამ ამ საქმიდან ჯერ არაფერი გამოვიდა.

„გუშინ უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე „კოკა-კოლას" პრეზიდენტ თემურ ჭყონიას შეხვდა — გვითხრა გუშინ მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა და თსუ-ს ბედით დაინტერესებულმა მურმან ქურიძემ, რომელიც ამ შეხვედრას თავადაც ესწრებოდა — ლორთქიფანიძეს ძალიან სურს, რომ თსუ-ს საკალათბურთო გუნდი ჰყავდეს და რადგან ბიუჯეტი ამის საშუალებას არ აძლევს, ცდილობს, სპონსორი გამონახოს. „კოკა-კოლა" წინა სეზონშიც აფინანსებდა თსუ-ს და ახლაც აპირებს, ოღონდ, ჯერ პირობებს ვერ ათანხმებენ. გუშინდელ შეხვედრაზე საბოლოო გადაწყვეტილებამდე ვერ მივედით, არის გარკვეული პირობები, რასაც „კოკა-კოლა" ითხოვს და იმედია, უახლოეს მომავალში ყველაფერი კალათბურთელთა სასიკეთოდ დასრულდება."



მურმან ქურიძე თსუ-ს ბედის ბორბალის დატრიალებას ცდილობს

სანამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა „კოკა-კოლასთან" ურთიერთობას არკვევს, დრო იწელება, კალათბურთის ფედერაციას კი კონკრეტული ვადა აქვს დათქმული, რის შემდეგაც, თუ დავალიანება არ იქნება დაფარული, თსუ ჩემპიონატიდან და თასის გათამაშებიდან მოიხსნება. თუ „კოკა-კოლასთან" შეთანხმება დროში გაიწელა, მთლად თავის თავზე არ იღებს, მაგრამ მურმან ქურიძე სტუდენტებს დავალიანების დაფარვის ვადის გადაწევას ჰპირდება:

„თუ სპონსორთან შეთანხმება დროულად ვერ მოხერხდა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფედერაციამ დავალიანების დაფარვის ვადა გაახანგრძლივოს. თსუ დიდი ტრადიციების გუნდია და შეღავათს ალბათ [illegible] საოქმელია, რომ ფედერაციას [illegible] მეც ძალიან დიდ [illegible] იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მიმართ, [illegible] ნაირად ეხმარებოდა."

გამოითქვა აზრი, რომ პარლამენტარი მურმან ქურიძე საკანონმდებლო ორგანოში ეცდება თსუ-ს პრობლემების გადაწყვეტას, მაგრამ როგორც თავად ბატონმა მურმანმა გვითხრა, სტუდენტურ გუნდს ახლა მხოლოდ ფული სჭირდება, რასაც პარლამენტი ვერ დაეხმარება.

„პარლამენტს არა აქვს ფული, ჩემი [illegible] აქვს, [illegible] პარაკებს ვაწარმოებთ და [illegible] იმედს გამოვთქვამ, რომ სასიკეთო შეთანხმებასაც მივაღწევთ" — დასძენს მურმან ქურიძე.

მაშ ასე, თსუ-ს ბედი ახლა „კოკა-კოლას" ხელშია, რომლის იქითაც სტუდენტებს იმ [illegible] რული მიზეზის გამო არა აქვთ გზა, რომ დრო არ ითმენს — ერთი ფედერაცია თანხას ითხოვს, [illegible] ცაა, პლეი ოფი გაჩურდება.

**ირაკლი პერტაია**

---

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მშვიდად, რაშიდ!

## უოლესი გიჟი უფრო სასარგებლოა

16 მარტი

**მილუოკი 96:88 კლივლენდი**

**მილუოკი:** უილიამსი (12 ქულა, 10 პასი), რედი (32), მეისონი (13), სმიტი (21 ქულა, 15 მოხსნა), გაძურიჩი (4); ბუთი (9), გოლდვაირი (3), სტრიკლენდი (2), კუკოჩი

*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**კლივლენდი:** მაკინისი (12), ნიუბლი (12), ჯეიმსი (32), გუდენი (14), ილგაუსკასი (13 ქულა, 14 მოხსნა); ვარეჟაო (4), პავლოვიჩი (4), ჰარისი (3), ტრეილორი (2), სნოუ, ველში

**სან ანტონიო 89:73 მინესოტა**

**სან ანტონიო:** დანკანი (25 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება), პორი (18)

**მინესოტა:** სპრიუელი (21), შჩერბიაკი (20), გარნეტი (12 ქულა, 11 მოხსნა)

**ჰიუსტონი 108:77 პორტლენდი**

**ჰიუსტონი:** სურა (21), ვესლი (21), მაკგრეიდი (19)

**პორტლენდი:** აბდურ-რაჰიმი (20), პრჟიბილა (18)

**ნიუ ორლეანი 82:88 მემფისი**

**ნიუ ორლეანი:** ნახბარი (19), ბრაუნი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**მემფისი:** პოუზი (20), უოტსონი (16), კარდინალი (14)

**დენვერი 120:101 შარლოტი**

**დენვერი:** ენტონი (25), ელსონი (14), ჯონსონი (14)

**შარლოტი:** ბოგანსი (19), ოკაფორი (17), კაპონო (16)

**კლიპერსი 110:102 ორლანდო**

**კლიპერსი:** მეჯიტი (31), კამანი (16 ქულა, 11 მოხსნა), საიმონსი (16)

**ორლანდო:** ჰოვარდი (29 ქულა, 12 მოხსნა), ნელსონი (22), ჰილი (19), ფრენსისი (15 ქულა, 10 პასი)

**დეტროიტი 102:95 სიეტლი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (32), რ. ვოლესი (24), ჰამილტონი (18), პრინსი (18)

**სიეტლი:** ლუისი (26), ალენი (20)

**ბოსტონი 110:109 ტორონტო**

**ბოსტონი:** უოლკერი (24), პირსი (24), ალენი (16)

**ტორონტო:** როუზი (35), ბოში (20), მარშალი (16)

**ინდიანა 103:84 იუტა**

**ინდიანა:** ჯექსონი (28), მილერი (15)

**იუტა:** ოქური (16), კირილენკო (15)

**ატლანტა 93:122 ვაშინგტონი**

**ატლანტა:** დელკი (16), ჩილდრესი (15)

**ვაშინგტონი:** არენასი (29), ჰიუზი (23 ქულა, 7 პასი, 6 ჩაჭრა), ბლეიკი (17)

**ნიუ ჯერსი 100:84 ჩიკაგო**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (30 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), კიდი (22 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი)

**ჩიკაგო:** გორდონი (15), ნოჩიონი (15)




„მაიამისთან" კაპიტულაციის შემდეგ „მილუოკი" დროულად მოვიდა გონს და ლებრონჯეიმსიან „კლივლენდს" მობილიზებული დაუხვდა. „ხარირმებს" მცირე ტრავმის გამო აკლდათ ჩვენებური ცენტრი ზაზა ფაჩულია, თუმც ჯო სმიტმა, დან გაძურიჩმა და სათადარიგო ცენტრმა კელვინ ბუთმა ასე თუ ისე განაიარაღეს „კავალერიის" მეფარეები. ერთადერთი, ვისაც ვერაფერი მოუხერხეს, მათი ჯეელი ვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი იყო, რომელმაც ქულები ხომ აკრიფა და ზედ 7 მოხსნა და 6 პასიც მოაყოლა. მაგრამ ერთკაციანი გუნდის წაქცევა შეუძლებელი რომ იყოს, ალენ აივერსონის „ფილადელფია" ბევრგზის ჩემპიონი იქნებოდა.

გასაღებიც აქაა: „მილუოკიმ" გუნდურ თამაშში აჯობა მეტოქეს და თავად სამმატჩიანი წაგებების ჯაჭვი გაწყვიტა, „კლივლენდს" კი მიჯრით სამი მოგების შემდეგ აგემა მარცხი. გაილაღა „ბაქსის" ბომბარდირმა მაიკლ რედმა, ვინაც თავისი 32 ქულიდან 21 მეორე ნახევარში გააზერხა და შედარებით თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „კავალერისტების" ფარზე მესამე მეოთხედში მიიტანა შტურმი. „საძაგლად ვითამაშეთ „მაიამისთან". ყველა გუნდს უწევს სეზონში 5-6 ასეთი კოშმარის გადატანა — ამბობდა რედი ნამატჩევს — მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და დღეს „კლივლენდთან" შეხვედრამდე ორი საათით ადრე ამ თამაშის გარდა არაფერზე არ ვფიქრობდით. თანაც შინ ვთამაშობდით და ცოტა ამანაც წაგვიკრა ხელი."

„მაიკლ რედმა რამდენიმე განსაკუთრებით რთული ბურთი ჩააგდო. მის წინააღმდეგ ყველაფერი ვცადე, ზონაც, ერთი-ერთზე დაცვაც და სამკუთხედიც (?), მაგრამ არაფერმა გაამართლა" — ეს უკვე დამარცხებულთა თავკაც პოლ საილასის ჩივილია.

„კლივლენდმა", რომელიც სადღეისოდ აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ჩაითვლება, სხვათა შორის, ზედიზედ მერვე გასვლა წააგო.

მოარული აზრია, ყველა გუნდს უჭირს სტუმრად თამაში. რატომ ყველას? საკამათო აზრია და ამის მამტკიცებელი გუნდია „ჰიუსტონ როკიტსი", რომელიც დაახლოებით „კლივლენდის" კალიბრისაა და შედეგის შემხედვარე ვერ დაგიწყებთ იმის მტკიცებას, რომ მეტოქე გუნდის გულშემატკივართა ყრიამული ბოჭავს და აკომპლექსებს. „რაკეტები" იმდენად ყოჩაღობენ გასვლაზე, რამდენადაც შინ — სახლში 20 თამაში მოუგიათ, სტუმრად 19. „პორტლენდთან" „ჰიუსტონს" აკლდა ძირითადი თავდამსხმელი ჯოუნ ჰოვარდი, ხოლო ორმა საუკეთესო მოთამაშემ ტრეი მაკგრეიდიმა და იაო მინგმა ჯამში მხოლოდ 32 ქულა გააკეთეს. მაკგრეიდი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ თამაშში დაუძაბავად მარტო აკეთებს ამდენს. თუმც „პორტლენდს" თამაშიდან ჩაგდებული ექვსი ბურთი და მხოლოდ 19 ქულა აკმარა. ანგარიშიდანაც ხედავთ, მისიანებს ლიდერის წილი ქულების სახით ბევრიც არაფერი მოაკლდათ — „პორტლენდი" თავიდანვე განწირული იყო. „ჰიუსტონმა" ეს-ესაა დაამთავრა გასვლით ტურნე და მიყოლებით ოთხ სხვადასხვა უცხო დარბაზში, მათ შორის ფინიქსში და სიეტლში გამარჯვების შემდეგ ნამდვილად არ აპირებდა შინ დათმობას.

როცა ყველა ლიდერი ფორმაში ჰყავს, ვერც „დეტროიტისთვისაა" იოლი რაიმეს წარმოება. ჩემპიონები ლიგის ყველაზე ხელჩუბიან გუნდს, „სიეტლ სუპერსონიქსს" დაუხვდნენ და ავტოქალაქიდან ნაწყენები გაისტუმრეს. 2004 წლის ფინალის უძვირფასესმა მოთამაშემ ჩონსი ბილაფსმა 32 ქულა გააგდო, ბოლო თამაშებში შესამჩნევად მოცოცხლებულმა რაშიდ უოლესმა კი — 24. გუნდის თავკაც ლარი ბრაუნის მთავარ ასისტენტს [illegible] ამ შლეგი კალათბურთელის თაობაზე თავისი განსაკუთრებული აზრი ჩამოუყალიბდა. „ერთი რამ დავასკვენი — ამბობს [illegible] — ერთადერთი, რაც რაშიდს აღანთებს, ემოციური თამაში და აქ მიღებული ტექნიკური ჯარიმაა."

ფაქტები და ვოლესის სტატისტიკა ამ კაცის მოსაზრებას ადასტურებს. „პორტლენდში" თამაშისას ვოლესი ლამის ყველა შეხვედრაში იღებდა ტექნიკურს და გაცხარებულ-გაცოფებული ქმედებისთვის ბლომად იხვეჭდა. „დეტროიტში" კი ცოტა დაშოშმინდა და შესაბამისად, მისმა შედეგიანობამაც იკლო.

„სიეტლთან" მან უკვე პირველი ტაიმის ბოლოს „გამოიმუშავა" ტექნიკური და მერე მთელი დარჩენილი დრო დამუხტული თამაშობდა. ბოლო წუთებში, როცა მისი გუნდი 87:90 აგებდა, 211-სანტიმეტრიანმა რაშიდმა, ბარე ერთი ფუტით დაბალი და, ცხადია, გაცილებით მოქნილი ანტონიო დანიელსის ბურთი აწაპნა, მთელი მოედანი გადაირბინა და გაშმაგებით დაამსხვრია „სიეტლის" კალათი. დარჩენილ ოთხნახევარ წუთში მისმა გუნდმა [illegible] მოუგო მეტოქეს.

**კოტე ყორშია**

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 36 | 29 | 55,4 |
| ფილადელფია | 31 | 33 | 48,4 |
| ნიუ ჯერსი | 29 | 36 | 44,6 |
| ტორონტო | 27 | 37 | 42,2 |
| ნიუ იორკი | 26 | 36 | 41,9 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 40 | 23 | 63,5 |
| კლივლენდი | 34 | 28 | 54,8 |
| ჩიკაგო | 32 | 30 | 51,6 |
| ინდიანა | 32 | 31 | 50,8 |
| მილუოკი | 26 | 37 | 41,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 50 | 16 | 75,8 |
| ვაშინგტონი | 35 | 27 | 56,5 |
| ორლანდო | 31 | 33 | 48,4 |
| შარლოტი | 12 | 50 | 19,4 |
| ატლანტა | 11 | 53 | 17,2 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 49 | 15 | 76.6 |
| დალასი | 41 | 22 | 65,1 |
| ჰიუსტონი | 39 | 25 | 60,9 |
| მემფისი | 37 | 27 | 57,8 |
| ნიუ ორლეანი | 14 | 49 | 22,2 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 43 | 20 | 68,3 |
| დენვერი | 33 | 30 | 52,4 |
| მინესოტა | 33 | 33 | 50,0 |
| პორტლენდი | 23 | 39 | 37,1 |
| იუტა | 20 | 44 | 31,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 48 | 15 | 76,2 |
| საკრამენტო | 40 | 25 | 61,5 |
| ლეიკერსი | 32 | 31 | 50,8 |
| კლიპერსი | 29 | 35 | 45,3 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 44 | 31,3 |

# კონცეფცია წყალზე და ბელურების მთაზე

**რუსეთში** ძალზე იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისია ღირსეულად შეაფასებს „მოსკოვი 2012“ საგანაცხადო კომიტეტის ორიგინალურ იდეას, რომელსაც „ოლიმპიური მდინარე“ უწოდეს.

ამ იდეის გასაცნობად შემფასებელი კომისიის წევრები მასპინძლებმა, როგორც ვიუწყებოდით, მეტრო სადგურ „ვერნადსკოეში“ ჩაიყვანეს და ორი გაჩერების შემდეგ „ბელურების მთაზე“ ამოიყვანეს, რომელიც ერთადერთია მთელს მსოფლიოში, მდინარის ზედაპირზე რომ განლაგებულა.

— ამან სტუმრებზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — თქვა „მოსკოვი 2012“-ის დირექტორის მოადგილე დიმიტრი სვატკოვსკიმ, რომელიც კომისიის წევრებს დაჰყვებოდა.



სოკელი სტუმრები მოსკოვში



მოსკოვის ოლიმპიური სოფლის მაკეტი

საერთოდ, მდინარეს განსაკუთრებული ადგილი უკავია „მოსკოვი 2012“-ის ოლიმპიურ კონცეფციაში. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ სტუმრები „ბელურების მთაზე“ მიიყვანეს. აქ სტუმრებს აუხსნეს, რომ სილიკატური ქარხნისა და ნახევრად მიტოვებული პორტის ადგილზე ოთხკარსკვლავიანი სოფელი აღმოცენდება.

მოსკოველთა თქმით, მდინარე მოსკოვმა უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან უკვე არსებული და მშენებარე სპორტული ბაზები. ამგვარად, საგანაცხადო კომიტეტი მიზნად ისახავს ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერას, რაც სპორტული ობიექტების კომპაქტურად განლაგებას და ტრანსპორტის პრობლემის გადაჭრას ითვალისწინებს. ამისთვის მოსკოვში გაჩნდება სპეციალური ოლიმპიური ფლოტილია, რომელიც ოლიმპიადის მონაწილეებსა და სტუმრებს მოემსახურება.

მაგალითად, ოლიმპიური სოფლიდან ყველაზე დაშორებულ სპორტულ ობიექტამდე, პესტოვსკის წყალსაცავზე მდებარე საიალქნო ცენტრამდე მონაწილეებს შეეძლებათ საწყლოსნო ტრანსპორტის საშუალებით 1 საათსა და 16 წუთში მისვლა, რითაც თავიდან აიცილებენ ქუჩებში შექმნილ საცობებს და მეტროში ხალხთა დიდ ნაკადს. პირველად ოლიმპიურ თამაშების ისტორიაში, თუ მისი მასპინძლობის უფლებას მოსკოვი მოიპოვებს, ასპარეზობები მთლიანად ქალაქის ფარგლებში ჩატარდება.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემფასებელი კომისიის წევრებს უკვე დაათვალიერებინეს არსებული სპორტული ბაზები და, ჯერ კიდევ... არ არსებული ობიექტები, რაც ახალი ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიით გახდა შესაძლებელი. ამგვარად, სტუმრები „შემოატარეს“ ხუან ანტონიო სამარანჩის სახელობის კორტებზე და მათ ანახეს ლუჟნიკების ახალი საცურაო აუზი. თუმცა, ეს ობიექტები მხოლოდ 2007 წელს აშენდება.

მოსკოველებმა ეს გრანდიოზული პროექტი რომ განახორციელონ, მათ უნდა იფიქრონ არა მხოლოდ სანაპიროების კეთილმოწყობასა და ნავმისადგომების აშენებაზე, არამედ მდინარე მოსკოვის ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც. ამიტომ 2010 წლამდე თითქმის მთელ ქალაქში უნდა აშენდეს საგანგებო გამწმენდი ნაგებობები.

მოსკოვის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ ქალაქში უკვე არსებობს ოლიმპიური ბაზების 65 პროცენტი და ისინი მხოლოდ მცირეოდენ რეკონსტრუქციასა და პატარ-პატარა რემონტის ჩატარებას მოითხოვენ. ეს საშუალებას მისცემთ შეამცირონ სავარაუდო სამშენებლო ბიუჯეტი და თანხებიც გონივრულად დახარჯონ, რაც, მათი აზრით, მოსკოვის შანსებს ამაღლებს.

და მაინც, მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი უშიშროების დაცვაა.

„ეს რომ ყოფილიყო სპორტის საკითხი და არა პოლიტიკისა, მაშინ მოსკოვი, რა თქმა უნდა, უეჭველად მოიპოვებდა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებას“ — თქვა ასოშიეიტედ პრესის წარმომადგენელთან საბურში რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა.

— ჩეჩნეთში მიმდინარე სისხლისღვრა და ძალზე გახმაურებული ტერაქტები მნიშვნელოვნად ამცირებს მოსკოვის შანსებს — განმარტა ტიაგაჩევმა.

გუშინ კომისიამ მუშაობა დაამთავრა. მოსკოვის დატოვებამდე მისი წევრები შეხვდნენ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.

— ვიმედოვნებთ, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის შერჩევა მოხდება დასაბუთებულად, აწონილ-დაწონილად და სამართლიანად. და თუ ეს საქმე მოსკოვის სასარგებლოდ გადაწყდება, მოსკოველები და ფედერალური ხელისუფლებაც ყველაფერს იღონებენ, რათა ეს მოვლენა მსოფლიოს მნიშვნელობისა გახდეს — თქვა პუტინმა.

კომისიის წევრებს მან აგრეთვე შეახსენა, რომ მოსკოვი 25 წლის წინა უკვე იყო ოლიმპიური ქალაქი. და თუმცა მას მერე ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა, ერთი რამ მაინც უცვლელი დარჩა, ეს არის რუსი ხალხის ინტერესი სპორტისადმიო, თქვა პუტინმა.

ვლადიმერ პუტინი, რა თქმა უნდა, შეეცადა სტუმრები დაერწმუნებინა, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის შემთხვევაში მოსკოვი უსაფრთხო იქნება, მაგრამ რამდენად ირწმუნეს ეს ამბავი კომისიის წევრებმა, 6 ივნისს გამოჩნდება სინგაპურში, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია საბოლოოდ შეარჩევს 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძელს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# კაცებად დაბადებული ქალების ამბავი

**ჩინელმა** მოცურავეებმა ბოლო წლებში დიდი ალმავლობა განიცადეს და მრავალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს. ეს იმითაც აიხსნება, რომ მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დაიშალა და დასავლეთ გერმანიას ძველებურად შეუერთდა, იქაურმა მწვრთნელებმა ჩინეთს მიაშურეს. ეს მწვრთნელები არა მხოლოდ თავიანთი საქმის თვალსაჩინო სპეციალისტები იყვნენ, არამედ დოპინგის საკითხებშიც დიდოსტატები გახლდნენ.



ლოთარ კიპკე



2 მილიონი სტეროიდი —
გდრ-ს სპორტსმენთა წლიური ულუფა

1972 წლიდან 1988 წლამდე გდრ-ს სპორტსმენებმა 384 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს, მათ შორის ლომის წილი მოცურავეებზე მოდიოდა. ზოგიერთი მონაცემით იმ დროს დოპინგის გამოყენება გდრ-ში მასობრივად ხდებოდა.

„ამაზე უარის თქმა შეუძლებელი იყო“ — ამბობს პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორი გიზელჰერ სპიტზერი, რომელიც ყოფილი გდრ-ის სადოპინგო პროგრამას იკვლევს.

სპიტზერი ამბობს, რომ სტეროიდების გამოყენება განსაკუთრებით გავრცელებული იყო ფიგურულ მოციგურავეთა და ტანმოვარჯიშეთა შორის, განსაკუთრებით კი მას ეტანებოდნენ მოცურავენი.

იმ დროს გდრ-ს სპორტსმენები ყოველწლიურად 2 მილიონ დოზა დოპინგს იყენებდნენ. ზოგიერთი მონაცემით, გდრ-ს ათიათასამდე ატლეტი სტეროიდების მიღების გამო დაზავდა. ყველაზე გახმაურებული სადოპინგო ისტორია დაკავშირებული იყო მოცურავე გეორგ სევერსის სიკვდილთან. მისმა მშობლებმა თქვეს, რომ ვარჯიშისას თავიანთი შვილის გულმა ველარ გაუძლო დატვირთვას იმის გამო, რომ იგი იმ დროს გრიპით ავადმყოფობდა, მაგრამ აი, 20 წლის შემდეგ, აუტოფსიამ აჩვენა, რომ სპორტსმენი ღვიძლის ინტოქსიკაციით მოკვდა.

ერთ დროს გდრ-ს მოცურავეთა ფედერაციის მეთაური ლოთარ კიპკე, რომელიც 1975-დან 1985 წლამდე ქვეყნის სადოპინგო პროგრამის მეთაურიც იყო, 6 ათასი დოლარით დააჯარიმეს და პირობითად თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს.

მაგრამ ციხეში არც კიპკეს და არც სხვა დამნაშავეებს, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ დოპინგის გამოყენებაში, ციხეში ერთი დღეც არ გაუტარებიათ. სწორედ ამან განაპირობა ათლეტთა ადვოკატ მიხაელ ლეხნერის თქმით, ის ამბავი, რომ სპორტსმენებმა კვლავ მიმართეს სასამართლოს.

როტი აგრეთვე ამტკიცებს, რომ ORAL-TURINABOL ოფიციალურად ნებადართული პრეპარატი იყო და თავისუფალ იყიდებოდა.

კომპანია ძირითადად მწვრთნელებს ადანაშაულებს, რომლებიც სპორტსმენებს სტეროიდების უზომო მიღებას აიძულებდნენ.

თუმცა JENAPHARM-ის წარმომადგენლები თავს დამნაშავედ არ ცნობენ. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის იზაბელ როტის თქმით, მათი ფირმა ვალდებული იყო, მონაწილეობა მიეღო სამთავრობო პროგრამაში, რომელიც დოპინგის წარმოებას ითვალისწინებდა.

ასე თუ ისე, გდრ-ს ყოფილი ათლეტები უჩივიან ფარმაცევტულ კომპანია JENAPHARM-ს და მისგან მოითხოვენ იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც სპორტსმენებს ამ ფირმის ნაწარმი სტეროიდებიდან მიადგათ.

სტეროიდი ORAL-TURINABOL 1970-80 წლებში გდრ-ის მთავრობის დაკვეთით მზადდებოდა კომპანიაში. იმ 160 სპორტსმენიდან, რომლებმაც სასამართლოში სარჩელი შეიტანეს, იმ დროს მხოლოდ 10-10 წლისანი იყვნენ. ახლა თითოეული სპორტსმენი ჯანმრთელობის შერყევის გამო, რაც JENAPHARM-ის პროდუქციის გამოყენებით მიადგა, ითხოვს 10-10 ათას ევროს.

JENAPHARM-ის წარმომადგენლები თავს იმართლებენ, რომ სტეროიდები ნებადართული პრეპარატები იყო, ხოლო დამნაშავენი არიან მხოლოდ მწვრთნელები, რომლებმაც დოზირებისას დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს და დასაშვებ ნორმას გადააჭარბეს.

„იმ დროს, როცა ქალები მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში დაავადმყოფებული ღვიძლის გამო იტანჯებიან ან როცა ისინი ავადმყოფ ბავშვებს აჩენენ და შთამომავალ ქალებს გარეგნულად კაცისგან ვერ არჩევენ, ამ საქმეს ვერავითარი ფულადი კომპენსაცია ვეღარ „უშველის“ — ამბობს მიხაელ ლეხნერი.

ლეხნერის თქმით, სპორტსმენებს უნდათ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაუსვან წერტილი იმ საქმეს, რომლის მიხედვითაც ისინი მსხვერპლნი არიან და არა სადოპინგო საქმის თანამონაწილენი.

სპორტსმენთა საქმეს საარბიტრაჟო სასამართლო ჰამბურგში განიხილავს.

**ავთანდილ ტყვიშელი**



გია ლაბაძე

# რაგბი ხაშის დროს

## ჰონკონგი მსოფლიოს აერთიანებს

**დღეს** ჰონკონგში შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშება იწყება. მსოფლიოს უძლიერესი 23 ნაკრების მხარდამხარ საქართველოს ნაკრებიც იბურთავებს და ოთხი წლის წინანდელ თასზე ნაჩვენები შედეგის, მე-10 ადგილის გაუმჯობესებას შეეცდება.

ბოლოდროინდელი უთანხმოების მიუხედავად, გუნდის სათავეში მაინც ზაზა ლეჟავა დაბრუნდა და ჰონკონგში ბიჭებს კვლავაც ის დამოძღვრავს. საქართველო B ჯგუფში მოხვდა ინგლისთან, სამოასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან და ტაივანთან ერთად. საერთოდ კი ნაკრებები ოთხ ჯგუფში არიან განაწილებულნი. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჯგუფური შეხვედრების ჩამთავრების შემდეგ პირველ-მეორე ადგილზე გასულები გააგრძელებენ. მესამე-მეოთხე ადგილზე გასულები სინის მოგებას შეეცდებიან, ხოლო მეხუთე-მეექვსეები — ფიალისას.

ტურნირის მასპინძელი ქვეყანა საქართველოს ხუთი საათით უსწრებს და პირველი დღევანდელი თამაშიც ინგლისთან ჩვენებურად გამთენიისას, შვიდი საათისთვის დაიწყება. გარდა ამისა, ლეჟავას გუნდი დღესვე ორ შეხვედრასაც მოასწრებს დილით საფრანგეთთან და შუა დღისას სამოასთან. ძირითადი მეტოქეებთან დაპირისპირება კი ხვალ მოუწევს — გამთენიისას იტალიასთან და დაახლოებით 11 საათზე ტაივანთან.

ქართველები ჰონკონგს თორმეტი მორაგბით ორი დღის წინ ეწვივნენ და შინ 21 მარტს დაბრუნდებიან.

**ოთარ გაღლაძელიძე**

### საქართველოს ნაკრები

გია ლაბაძე
გიორგი კაჭარავა
ირაკლი აბუსერიძე
ირაკლი გიორგაძე
ირაკლი მაჩხანელი
თედო ზიბზიბაძე
ბადრი ხეხელაშვილი
ვასილ კაცაძე
ლექსო გუგავა
ლაშა ფირფილაშვილი
გიორგი ელიზბარაშვილი
ოთარ ბარკალაია

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ახ. ზელანდია | ინგლისი |
| შოტლანდია | სამოა |
| ტონგა | საფრანგეთი |
| ირლანდია | იტალია |
| კორეა | საქართველო |
| აშშ | ტაივანი |
| **C ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| ფიჯი | არგენტინა |
| ავსტრალია | ს. აფრიკა |
| კანადა | კენია |
| პორტუგალია | ტუნისი |
| იაპონია | რუსეთი |
| ჰონკონგი | ურუგვაი |



ირაკლი აბუსერიძე



# ზეზერი ანდრეს კუდრაჭობანი

**PACIFIC LIFE OPEN**
ინდიან უელსი. მაგარსაფარი
ვაჟები. საპრიზო 2,725 მლნ $

**მეოთხე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (13, ხორვატია) 7:6 (7:3) 7:6 (7:4); **ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 6:1 6:0; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — ფერნანდო გონსალესი (17, ჩილე) 6:4 6:3; **ანდრე აგასი** (9, აშშ) — გილერმო კორია (5, არგენტინა) 6:4 6:1; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) 6:4 2:6 6:2; **კარლოს მოია** (7, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:5 6:2; **ნიკოლას კიფერი** (29, გერმანია) — დავიდ ნალბანდიანი (10, გერმანია) 6:1 6:3; **გილერმო კანასი** (14, არგენტინა) — ტაილორ დენტი (30, აშშ) 6:3 დენტმა შეწყვიტა

ქალები. საპრიზო 2,1 მლნ $

**მეოთხედფინალი**

**ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 3:6 6:3 7:5; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — კონჩიტა მარტინესი (23, ესპანეთი) 6:1 3:6 6:2



ენდი როდიკი



ელენა დემენტიევა

REUTERS

**ანდრე** აგასი 29 აპრილს გაოცდათხუთმეტწლისდება, მაგრამ კორტზე ჯერაც ისე შლეგიანად დაჰქრის, თითქოს ბეჭებზე ფაფარი ეყაროს და ისევ ბრუკ შილდსა ჰკერამდეს. ყოველ შემთხვევაში, ამქრის უფეხმარდეს მეჩოგნე გილერმო კორიას, ვინაც მასზე თორმეტი წლით უმცროსია და რეიტინგსიაში ოთხი ალაგით მაღლა დგას, მან იმ დღეს სისწრაფითაც აჯობა და ყველაფერ იმითაც, რაიც ახალგაზრდობას სიჭარმაგის წინაშე დაეკვეხება. ხოლო ამას გრძნეული არმენოამერიკელის ამოუწყავ გამოცდილებასა და სინატიფეს თუ შევუხამებთ, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ იყო, დაბოღმვისა და გინების ნაცვლად კორია მეტოქის ყოველ მორიგ საცირკო ნომერს ღიმილითა და ჰარი-ჰარალოთი რომ ხვდებოდა. არადა, ფაკირული კუდრაჭობანი ბებერმა ანდრანიკმა კორტზე მართლაც ცოცხალივით დაყარა, და მართლაც დაუნახავი უნდა ყოფილიყავი, მისი მაღალი ხელოვნების წინ ქედი არ მოგედრიკა და ჭიქა არ გადაგეპიპინებინა.

სხვაფრივ — როჯერ ფედერერი წლეულს უკვე მეოთხედ შეხვდა ხორვატ ივან ლიუბიჩიჩს და — ამის მე ბედი რა ვთქვი — მეოთხედვე მოუგო. შეგახსენებთ, წინა სამჯერ ისინი ნიადაგ ფინალებში პაექრობდნენ და ამქრის პირველოსანმა 26 წლის ხორვატს დოჰაური,, როტერდამული და დუბაური ტიტულები აახია. არადა, ლიუბიჩიჩი ამ მატჩში ურიგოდ ნაღდად არ გამოიყურებოდა და თანამედროვე ჩოგბურთის აქილევსს მხოლოდღა აიდოსტებზე დანებდა. თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გასულ პარასკევ-უქმეებზე მან ლამის მარტოჩოგნად აჯობა ამერიკელთა დევისნაკრებს ამერიკაშივე, როცა ჩალიბად აგასისა და როდიკს მოუგო, ხოლო სხვასთან შეწყვილებული დევისობაზე მანამდე უძლეველ ძმებ ბრაიანებსაც გაუსწორდა. თუმცა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ახლა ისეთ ბუმბერაზ ფორმაშია, მისთვის ჩოგნის მოგრეხას რაღაც იმაზე მეტი სჭირდება, ვიდრე წლეულს (აქამდე რომ არავის უნახავს, ისე) აბობოქრებული ლიუბიჩიჩის აკურატულობა და დაბერილი ყვრიმალები...

ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ამ ინდიანუელსობაზევე იმ „რაღაც იმაზე მეტის" მოძიებას მხიარული როჯერის უმთავრესი რაყიფები — ლეიტონ ჰიუიტი და ენდი როდიკი, ოღონდ ის კი დასტურ ამბავია, რომ მეოთხე წრეში მას ულმობლად გადაურბინეს თავ-თავიანთ მეტოქეებს. ორგზის ჩემპიონმა ჰიუიტმა ასევე დევისდამაშვრალი პოლ-ანრი მათიო დაგლიჯა, ხოლო როდიკმა შარშან ათენურ ოლიმპიადაზე მიყენებული მარცხისთვის ასევე დამაჯერებლად იძია შური ჩილელ ფერნანდო გონსალესზე. გაივაკა შარშანდელმა ფინალისტმა ტიმ ჰენმანმა, ვინაც ტომი რობრედო 40 საქულე დარტყმით კი დააშამათა, მაგრამ ნამატჩევს მაინც თავის არასტაბილურობას უჩიოდა. და კიდევ, სანამ მდედრიონზეც გვეთქვა რამე, იმასაც დავსძენთ, რომ წინა წრეში მარატ საფინის დამჩაგვრელ ტაილორ დენტს ნაიმმატჩევს დანაქადარის — აქაოდა, ახლა მიყურეთო — აღსრულება კუჭის აშლილობამ არ დააცალა.

ქალებზე კი შემდეგი უნდა ითქვას. ელენა დემენტიევამ შარშან ამერიკის ღია პირველობის ფინალში მარცხისათვის თავისტომ კუზნეცოვაზე ირევანშა და მერე იძახდა, იმ ფინალზე გაცილებით უკეთ ვითამაშე და იმიტომ ვიმარჯვეო. თუკი ვინმეს ეს შეხვედრა გიხილავთ, ვინძლო ამ სათნო გოგოს დაეთანხმოთ კიდეც, თუმცა ნურც იმის აღნიშვნა დაგავიწყდებათ, რომ საამდროოდ კუზნეცოვაც არ არის მაშინდებულისებრ გოროზ ფორმაში. ეს ისე-რა მიმოხილვა კი კიმ კლაისტერსის სადღეგრძელოთი უნდა გავასრულოთ — ტურნირის შარშანწინანდელმა ჩემპიონმა, ვისაც მთელი წინა სეზონი მაჯის ტრავმის გამო გაუცდა და მხოლოდ ახლაღა კრეფს მორჭმულთა შორის დასაბრუნებელ სიჩქარეს, უიმბლდონის 1994 წლის მაოხარი, შებერებული კონჩიტა მარტინესი დაიმორჩილა. სამსეტიანი მატჩის მოგება, სულ ერთია, კარგად ითამაშე თუ ცუდად, მაინც მაგარი დამქოქველი რამეაო, ამბობდა ნამატჩევს კიმი და — როგორც სჩვევია — მკითხველს თავის ფუმფულა ღიმილით ბანგავდა.

**არტემ ჩაჩანიძე**

# დიეგო მერიაში

*კოლუმბიის ზღვისპირა ქალაქ კარტახენას კლინიკაში მუცელდამცრობილი დიეგო არმანდო მარადონა, იქაურ მერიაში ოფიციალურ მიღებაზე ხალისობს, მერს დაუპატიჟებია და საპატიო მოქალაქეობაც უბოძებია.*



REUTERS კარტახენიდან



REUTERS კუალა ლუმპურიდან

# ფორმულა კუალა ლუმპურში

*კუალა ლუმპურში მთელი ამბით მიმდინარეობს მალაიზიის დიდი საფორმულე პრიზისთვის მზადება. ამ საქმეს მრავალი ღონისძიება უსწრებს წინ. მათ შორის, ცუნამის შედეგებთან მებრძოლი ფონდის დაარსება, რომლის პრეზენტაციაზეც „ფერარის" პრინსიპალი ჟან ტოდი და მსახიობი მიშელ იო ერთად ულიმიან მედიას. რენოელები კი ხალხში გასულან: ფერნანდო ალონსო ავტოგრაფებს არიგებს, ჯანკარლო ფიზიკელა კი მავან გულშემატკივარ გოგონას აფასებს.*



REUTERS კუალა ლუმპურიდან



# მოსკოვურ ყინულზე

*მოსკოვში ფიგურული სრიალის მსოფლიო ჩემპიონატი გრძელდება. ჩინური წყვილი, დან ჟანგი და ჰაო ჟანგი თავისუფალ პროგრამას ცეკვავენ და ესეც კარგად გამოსდით. რუსი ირინა სლუცკაია და იაპონელი შიძუკა არაკავა კი თავიანთ ცივურებს მოხდენილად ნასჭიდებიან.*



REUTERS მოსკოვიდან





REUTERS მოსკოვიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიჭერიკი, კახა ზუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge